ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲛᲔᲠᲝᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ

1977 ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ № 205 (16945) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ 1977

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲚ ᲙᲞ ᲠᲣᲡᲗᲘᲡ, ᲕᲔᲠᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ORGAN CK KP GRUZII, VERKHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

500.000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ—ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ!

ᲕᲘᲑᲠᲫᲕᲘᲗ 27.000 ᲢᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ წელს ახმეტელ მევენახეებს დიდი გარჯა დასჭირდათ, რომ ბევრგან დასეტყვილ ვენახებს მზრუნველობა არ მოჰკლებოდა და სახელმწიფოსათვის მიგვეყიდა ყურძნის შესაძლო მაქსიმუმი.

ახლა დღის წესრიგშია მევენახეთა ნაამაგარის დროზე, უდანაკარგოდ კრეფა-დაბინავება. ძირითადად ამ მიზანს ემსახურება რაიონის პარტიული ორგანიზაციის პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორულ-იდეოლოგიური მუშაობა. **გავაანალიზეთ რა გურჯაანის რაიონის მშრომელთა პატრიოტული თაოსნობა, გადავწყვიტეთ მათი მაგალითისამებრ რთველი დავამთავროთ 10-12 სამუშაო დღეში. რთველის ორგანიზებულად და უდანაკარგოდ ჩატარებით დედა-სამშობლოს მივცეთ 27.000 ტონა ყურძენი. აქედან მარტო საზოგადოებრივი მეურნეობებიდან იქნება 23.000 ტონა.**

წლევანდელი ნაშრომით თავს ისახელებენ რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. ვენახებს კარგად მოუარეს და ვაზიც არახულად არის დახუნძლული მტევნებით. აქ გადაწყვიტეს 2.060 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.000 ტონა ყურძენი. ქებას იმსახურებს ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა ნაამაგარი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.500 ტონის ნაცვლად 3.000 ტონაზე მეტი ყურძენი. გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის იღვწიან ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც 4.200 ტონის ნაცვლად ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 4.300 ტონა ყურძენი.

საკარმიდამო ზვრების რეზერვებსაც არ ვივიწყებთ. ქისტიაურელმა, ოყიოელმა, ზემოხოდაფნელმა მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებული ყურძნის 90-95 პროცენტი სახელმწიფოს მიჰყიდონ. ვიმედოვნებთ, რომ 27.000 ტონიდან 4.000 ტონა ყურძენი საკარმიდამო ნაკვეთებიდან იქნება მიღებული.

ყურძნის შერჩევითი კრეფა სექტემბრის პირველ ნახევარში დაიწყება. ამ სამუშაოს უნაკლოდ შესასრულებლად ყოველმხრივ მზად ვართ. ამ დღეებში შედგა რაიონის აქტივის კრება, სადაც ვიმსჯელეთ რთველის ორგანიზებულად ჩატარების საკითხზე. მეურნეობებში ყველგან მიმგავრებული არიან პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის, სოფლის მეურნეობის სამმართველოს პასუხისმგებელი პირები.

რაიონის კომკავშირულებმა ვალდებულება იკისრეს ადმინისტრაციული და კონტროლის ორგანოების მუშაკებთან ერთად მოაწყონ სადღეღამისო მორიგეობა რთველის უდანაკარგოდ ჩატარებისათვის. რაიონში შეიქმნა რთველის შტაბი, რომელშიც შედიან პარტიის რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის წევრები.

გადავწყვეტეთ ყოველ ბრიგადაში რთველი ზეიმით დავიწყოთ. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ადგილობრივი კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, რაიონის კულტურის განყოფილების მუშაკები.

ყურძნის მოსავლის აღებაში 6.000-მდე კაცი იმუშავებს. მათთვის მუშაობის ნორმალური პირობებია შექმნილი. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო კვებით, ტრანსპორტით და პირველი მოთხოვნილების პროდუქტებით.

ყველა მეურნეობაში რთველის გეგმა-გრაფიკი ისეა შედგენილი, რომ ტრანსპორტისა და მკრეფავების შესაძლებლობა წინასწარ არის გათვალისწინებული. შემუშავებულია მორალური და მატერიალური წახალისების ახალი ფორმები.

გურჯაანელებმა კარგი საკითხი დააყენეს. მათ ვალდებულება იკისრეს ყურძენი მოკრიფოს იმან, ვინც მოიყვანა. ჩვენც გურჯაანელების ამ მაგალითს მივბაძეთ, რაიონში ყურძნის მოსავლის ძირითადად მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები აიღებენ.

მარტო ყურძნის დროზე მოკრეფა როდია საკმარისი. მთავარია მისი უდანაკარგოდ გადამუშავება. ამ მხრივ რაიონში ბევრი რამ გაკეთდა. **ახმეტის და ქისტაურის ღვინის ქარხნებს რეკონსტრუქცია გაუკეთდა. მანქანა-დანადგარები, ყურძნის გადასამუშავებელი ბაზები, ტარა-ჭურჭელი წესრიგშია. წელს ახმეტის ღვინის ქარხანას შესაძლებლობა აქვს გადაამუშაოს 2.800 ტონა ყურძენი.**

საიუბილეო წელს ახალი გამარჯვება — ასეთია ახმეტელ მევენახეთა გადაწყვეტილება.

Თ. ᲑᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ საერთო სახალხო ხასიათი მიიღო წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლამ, რომელიც განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა ჩვენს რესპუბლიკაში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ. ახლა ჩვენს ფაბრიკებსა და საწარმოო გაერთიანებებში, სამშენებლო ობიექტებსა თუ ტრანსპორტზე ფრთებს შლის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ახალი აღმავლობა გამოიწვია ხაბეჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ.

საერთო საქმის შემოქმედებითი მხარდაჭერა და ურთიერთპასუხისმგებლობა — ეს ის, რაც ხაზუალებას აძლევს მოწინავეებს მიაღწიონ ეკონომიკის შეუნელებელ ზრდას, კომუნისტური ხვალინდელი დღის ადამიანის ჩამოყალიბებას. სწორედ ეს მაღალი პრინციპები დაედო საფუძვლად რუსთაველ მტალურგთა თაოსნობას დევიზით — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვერდით!“ ამ მოძრაობამ, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაღალი შეფასება დაიმსახურა, დიდი როლი შეასრულა და ასრულებს რესპუბლიკის მშრომელებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, მის ეფექტიანობაში, კოლექტივის თითოეული წევრისთვის სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების უცილობელი შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვაში, მისწრაფებაში, რომ არ ჩამორჩეს სხვას. მხარდამხარ მიჰყვე წარმოების მოწინავეთა რიგებს! **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲐᲒᲗᲝᲠᲐᲓ ᲨᲔᲒᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ.** ᲛᲘᲒᲒᲕᲔᲠᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

შემოქმედებითი მხარდაჭერა და საერთო საქმისათვის ურთიერთპასუხისმგებლობა თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური შეჯიბრების წარმატების უმნიშვნელოვანესი პრინციპია. სწორედ ეს პრინციპი დაედო საფუძვლად მეორე ღირსშესანიშნავ პატრიოტულ წამოწყებას — **„ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ 1977 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲕᲬᲐᲒᲓᲔᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ!“.** ეს წამოწყება, რომლის ინიციატორები არიან ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული კომიტეტები, ფაქტიურად ლოგიკური გაგრძელებაა რუსთაველთა პატრიოტული თაოსნობისა, მაგრამ უფრო მაღალ დონეზე აყვანილი.

სოციალისტურ ვალდებულებათა უცილობელი განაღდებისათვის აღნიშნული ქალაქების პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო. პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და ახორციელებენ ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსებს. ეს კომპლექსები ითვალისწინებენ მუშაკების აღზრდასა და სწავლებას, ჩამორჩენილებისათვის დროულად დახმარებას. კადრების პასუხისმგებლობასა და კონტროლის სრულყოფას — **ᲛᲣᲨᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲧᲝᲤᲘᲗ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐᲛᲓᲔ**—ცვლის, თვის, კვარტალის, წლიური და ხუთწლიანი გეგმების გადაჭარბებით, მაღალხარისხოვად და ეფექტიანად შესრულების საქმეში.

მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის გეგმების განხორციელებისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ საგულისხმო მაჩვენებლის წარმატებით შესრულება. დაწყებული მუშიდან საწარმოს კოლექტივამდე, კოლექტივიდან მთელ დარგამდე, წარმოების ტექნიკური სრულყოფისათვის მუყაითი და დაუღალავი შრომა, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ძველი დანადგარების უფრო ახლით დროული შეცვლა, დანადგართა ცვლითობის კოეფიციენტის ამაღლება წარმოებისა და შრომის უკეთესი ორგანიზაციის ხარჯზე — აი ის, რასაც ამ მიმართულებით წარმატება მოაქვს. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან სამრეწველო საწარმოები. სადაც განლილ შვიდ თვეში ვერ მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების დაგეგმილი ზრდის ტემპებს. თავი ვერ გაართვეს ისეთი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების სახელმწიფო დავალებების შესრულებას, როგორიც არის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და გათვალისწინებული ასორტიმენტის სრული დაცვა. ასეთებს ეკუთვნიან „საქენერგოს“, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნების. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის. მახარაძის ამრეშუმის საგრეხის, ზუგდიდის ფაიფურის. შულავერის ქეჩის ფაბრიკების, ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივები. სამინისტროები მოვალენი არიან განიხილონ თითოეული საწარმოში და საწარმოთა გაერთიანებაში დავალებათა შესრულების მსვლელობა ყველა ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, განსაზღვრონ, თუ რა კონკრეტული დახმარების აღმოჩენა სჭირდებათ და დაეხმარონ კიდეც. პასუხი მოსთხოვონ იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც თუმცა საჭირო მატერიალური ტექნიკური რესურსები აქვთ, მაგრამ უნარი არ შეწევთ გამოიყენონ ისინი. არა გეგმის კორექტირება მისი შემცირებისაკენ, როგორც ეს ხდება ზოგიერთ სამინისტროსა და ტრესტში, არამედ საწარმო-გაერთიანებებისათვის მიზანსწრაფული. კონკრეტული დახმარება, ხელმძღვანელებისადმი მომთხოვნელობის გაზრდა. სოციალისტური შეჯიბრების ოპერატიული ხელმძღვანელობა. მეათე ხუთწლედში გათვალისწინებული ყველა დავალების შესრულება.

განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მომიჯნავე საწარმოებს. ძნელია არ შეაფასო მათი დიდი როლი მათთან კოოპერირებით დაკავშირებული ფაბრიკა-ქარხნების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის საქმეში. ამ ხაწარმოოთათვის საქონლის მიწოდება, კოოპერირება საშური საკითხია. ამიტომ მიწოდებათა დავალებების წარმატებით შესრულება. დამკვეთთა რიტმული მომარაგება ყველა საჭირო მასალით, დანადგარით, ნედლეულით, სათბობით. მაკომპლექტებელი დეტალებით. სათადარიგო ნაწილებით — თითოეული კოლექტივის ღირსების საქმეა.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის სრულყოფა, იმ ხარვეზების დროული აღმოფხვრა, რომლებიც ხელს აშლიან ბრძოლას საწარმოო გეგმებისა და მიწოდებათა შესრულებას — აი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ზრუნვის საგანი. ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗᲝᲗ ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲕᲬᲐᲒᲓᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ. ᲛᲙᲐᲪᲠᲘᲗᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲘᲓᲔᲑᲐᲡ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲒᲘᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲒᲘᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲘᲓᲔᲑᲐᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ — „ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲦᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲝ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ!“ ᲐᲛ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ Ბ. Ნ. ᲞᲘᲡᲣᲢᲣᲮᲝᲕᲘᲡᲐ.

შეკრების მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲐᲯᲘᲡᲪᲔᲛᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორ.). ოქტომბრის მესამოცე საიუბილეო წელს მნიშვნელოვან შრომითს წარმატებებს აღწევს საოფიცეცხოვრებო მომსახურების სამინისტროს „საქრადიოტელემომსახურების“ რესპუბლიკური სამმართველოს (უფროსი უ. ნუცუბიძე) კოლექტივი.

გეგმების, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განაღდებისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის სამმართველო ხელიხელ მესამე კვარტალია საქართველოს საოფიცეცხოვრებო მომსახურების სამინისტროსა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაობა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ეკონომიკურ წითელ დროშას ფლობს.

სამმართველოს კოლექტივმა შვიდი თვის გეგმა 109.5 პროცენტით შეასრულა. მიღწეული წარმატებები ბევრად განაპირობა სისტემაში შემავალ თბილისის (უფროსი რ. ბოჟორიშვილი), რუსთავის (უფროსი ბ. კიკნავეძე) დირექციათა მიერ გეგმების სისტემატიურად და სტაბილურად შესრულებამ.

ხელმძღვანელობს რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებებით, სამმართველოს კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წარმატებით დაამთავროს საიუბილეო წელი და ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდეს ჩვენი ქვეყნის დიად იუბილეს.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ
ᲙᲐᲛᲡᲮᲜᲐᲒ ᲖᲝᲜ ᲓᲘᲐ ᲗᲘᲮᲐᲜᲡ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲙᲐᲛᲡᲮᲜᲐᲒ ᲚᲔᲝ ᲖᲣᲐᲜᲡ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲙᲐᲛᲡᲮᲜᲐᲒ ᲩᲘᲝᲜᲒᲘᲜᲡ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ
ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲙᲐᲛᲡᲮᲜᲐᲒ
ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ

ᲙᲕᲘᲠᲨᲐᲡᲗᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად მხურვალედ მოგესალმებით და გულითადად გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივ კომიტეტს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას, მთელ მოძმე ვიეტნამელ ხალხს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს.

აგვისტოს რევოლუციის გამარჯვებამ და ვიეტნამის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნამ 32 წლის წინათ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ვიეტნამის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ვიეტნამელმა ხალხმა, რომელიც უკვე თვითონ განაგებს საკუთარ ბედს, სახელოვანი ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ომებში თავლასაჩინო წარმატებებს მიაღწია. ვიეტნამის განთავისუფლება ამერიკელ ინტერვენტორთა უღლისაგან, იმპერიალისტი აგრესორების განდევნა ქვეყნიდან, ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა, სახელმწიფო გაერთიანება და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება, დიდი წარმატებანი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში — ყოველივე ეს ბრწყინვალე ნიშანსვეტებია ვიეტნამის რევოლუციის ძლევამოსილ გზაზე.

განუზრელად იზრდება ვიეტნამის ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. სოციალიზმის მოძმე ქვეყნების მზარდამხარ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა აქტიურად იბრძვის მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

თავის დღესასწაულს ვიეტნამელი ხალხი ხვდება მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმაფლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია ვიეტნამის კომუნისტთა IV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. საბჭოთა ადამიანებს სწამთ, რომ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის გმირი მუშათა კლასი, გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია, რომლებიც მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი თავიანთი მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის — ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ბარშემო, წარმატებით შეასრულებენ ყრილობის მიერ დასახულ პროგრამას — გადააქცევენ ვიეტნამს აყვავებულ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი პარტიები, ქვეყნებისა და ხალხების მეგობრული ურთიერთობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა სულ უფრო მეტად ვითარდება, იმატებს სულ უფრო ღრმა შინაარსი. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპის ერთგულ საბჭოთა კომონისტები. საბჭოთა ხალხი კვლავაც დაეხმარებიან და მზარს დაუჭერენ მოძმე ვიეტნამელ ხალხს ვიეტნამში სოციალიზმის აშენების საქმეში.

მომავე ვიეტნამის შესანიშნავი დღესასწაულის დღეს თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, მთელ ვიეტნამელ ხალხს გულწრფელად გისურვებთ ახალ დიდ მიღწევებს სოციალისტური ვიეტნამის — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების ფორპოსტის განმტკიცებაში.

დაე კვლავაც მტკიცედ ებოდეს საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების ურღვევი მეგობრობა და ძმური სოლიდარობა!

Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ივანოვოში საზეიმოდ აგიზგიზდა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ლაშქრობის გამარჯვებულთა მე-8 საკავშირო შეკრების ჩირაღდანი.

დღესასწაული გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ნ. პუსტუხოვმა.

შეკრების მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას, რომელიც შეკრებაზე წაიკითხა პარტიის ივანოვოს საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მ. კლიუევმა.

შეკრების დელეგატებმა და სატაბო სტუმრებმა დამსწრეთა ტაშის გრიალში მიიღეს საპასუხო წერილი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ᲡᲐᲒᲒᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

მოსკოვში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი.

მოხსენება გააკეთა გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ მთავარმა რედაქტორმა ა. ვ. რომანოვმა.

ᲡᲐᲚᲐᲛᲘ, ᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ!

ᲣᲙᲕᲔ ტრადიციად იქცა სასწავლო წლის პირველ დღეს სწავლის წინ დღესასწაულის აღნიშვნა. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავი და საზეიმოა წელს — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების, მოახლოებული ისტორიული თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღნიშვნის წინ.

პირველ სექტემბერს, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაიღო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური საასწავლებლების, ტექნიკუმებების, უმაღლესი სასწავლებლების კარი. სასკოლო ოთახები და აუდიტორიები გაიესო ათასობით მოსწავლითა და სტუდენტით. დაიწყო მორიგი ლაშქრობა ცოდნის მოპოვებისათვის. ყოველი მოზარდისათვის ახალი სასწავლო წლის პირველი ზარი თავისებურად სამახსოვროა.

ამ დღეს, დილაადრიანვე, მეცადინეობის დაწყებამდე თბილისის სკოლებსა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საუკეთესო მოსწავლეები შეიკრიბნენ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სადღესასწაულო ცერემონიისათვის, რომელიც ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა. აქვე არიან რესპუბლიკის დედაქალაქის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების წარმომადგენლები. მათ დიდი და ყოველმხრივი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს, რათა ყველა საჭირო პირობა შეექმნათ წარმატებით სწავლისათვის. მოზარდი თაობისათვის ზრუნვას აშკარად ცხადყოფს ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნებული „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მოსწავლეებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის, პედაგოგების, აღმზრდელების, დამრიგებლების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მშრომელებისადმი.

...დილის 8 საათია. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის მოედანზე „ავასიონატის“ მელოდია ისმის. იწყება სადღესასწაულო სვლა. ქალაქის მოსწავლეებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები საზეიმო მარშით მიემართებიან ვ. ი. ლენინის ძეგლისაკენ და ყვავილებით ამკობენ მას. ამით ისინი გამოხატავენ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას დიდი მასწავლებლის, რევოლუციის ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისადმი.

1 სექტემბერი დღესასწაულია! მას კი მოპყვება ჩვეულებრივი დღეები, რომლებიც აღსავსე იქნება სასიხარულო აღმოჩენებით, ძიებითა და მიღწევებით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მოსწავლეებო! (საქინფორმი).

400.000 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲕᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣ

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ხალხის სიძლიერის გუარჯი

ოჯახი და საზოგადოება

საბჭოთა კავშირის ძირითადი კანონის პროექტის მიხედვით ოჯახის განვითარების ორი უმთავრესი პრინციპი და პირობა ერთმანეთს ავსებს — ოჯახს იცავს სახელმწიფო, ოჯახს ეხმარება სახელმწიფო. ცხადია, ეს ყველაფერს ნიშნავს. ოჯახი იყო და რჩება საზოგადოების განვითარების ქვაკუთხედად.

ოჯახი, როგორც ადამიანთა ურთიერთობის პირველადი და ძირითადი სოციალური და ეკონომიკური უჯრედი, სოციალური ბის წყაროც არის და მისი გამოხატულებაც. საკაცობრიო პრაქტიკამ განვითარების ხანგრძლივი დროის მანძილზე თანდათან დახვეწა ადამიანთა ურთიერთობის ოჯახური ფორმა და უპირატესობა მიანიჭა ერთ ქორწინებაზე დამყარებულ სტრუქტურას. ეს ადამიანთა ნებაყოფლობითი მიდგომისა და არჩევანის შედეგი არ ყოფილა. იგი გამოხატულება იყო ისტორიული ობიექტურობისა, რასაც, ცხადია, აჩქარებდა ან აფერხებდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პირობები.

ერთ ქორწინებაზე დამყარებული ოჯახის საფუძველს იცავს საბჭოთა სახელმწიფო და სწორედ იგი მიაჩნია თანამედროვე და მომავლის განვითარების ერთადერთ ფორმად. მაშასადამე, სახელმწიფოს სახრუნავს წარმოადგენს ისტორიულად გამართლებული ერთქორწინებიანი საოჯახო სტრუქტურის შენარჩუნება. მაგრამ აქ, ერთ ქორწინებაში, მხოლოდ შეუღლების სარეგისტრაციო აქტი კი არ იგულისხმება, არამედ დაქორწინებულთა სამუდამოდ, სიკვდილამდე ერთად ცხოვრება. ეს კი ნიშნავს თანაცხოვრების საერთო მიზნების დახვეწას. გაკოსტალებას თვით ოჯახის შიგნით, მისი განვითარების პროცესში.

ასაკობრივი ვერტიკალური ჭრილის მიხედვით, აგრეთვე უშუალო ნათესაური პოზიციების სიახლოვით ოჯახის სიდიდე სხვადასხვანაირია, მაგრამ მას ერთიანი ბიოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური საფუძველი აქვს. ეს სამი კომპონენტი ერთმანეთს განაპირობებს. დომინანტობა კი თანდათან სოციალურს უნდა დარჩეს. ამიტომ ოჯახის მრავალ ფუნქციიდან უპირატესობა იმას უნდა მიენიჭოს, რომელიც ადამიანის სოციალიზაციის განვითარებას ემსახურება.

ოჯახის შიგნით ადამიანთა ურთიერთობა მრავალი ასპექტის მქონეა, რომელთაგან მორალურ-ზნეობრივი ასპექტი საფუძვლის მნიშვნელობას იძენს. ოჯახი სრულყოფილი ადამიანის აღზრდის პირველი და ერთ-ერთი უმთავრესი კერაა. ამიტომ ოჯახი მარტო ბავშვების, შვილების აღზრდის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ იგი ემსახურება ოჯახის ყველა წევრის პიროვნულ სრულყოფასაც ასაკისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად. ამის რეალიზაცია ხდება ოჯახის წევრთა ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემის, ერთგულების, ჰუმანურობის, კოლექტიურობის, მიზანსწრაფოვნის, შრომის, ოპტიმიზმისა და სხვა გრძნობის ჩვენების თანდათანობით ჩამოყალიბებით და სრულყოფით. ყოველივე ეს კი იმის საფუძველი ხდება, რომ ოჯახს საკუთარი ღირსება უჩნდება. ოჯახის ღირსება სოციალური, საზოგადოებრივი მოვლენაა და იგი საზოგადოებრივი ღირსების შემადგენელი ნაწილი ხდება.

მაშასადამე, საზოგადოება დაინტერესებული უნდა იყოს ოჯახის ღირსების თვისებრივი მხარით. მართალია, ოჯახისათვის გარკვეულად დამახასიათებელია სოციალური ანონიმურობა, მაგრამ იგი როგორც საზოგადოებრივი უჯრედი საერთო, საზოგადოებრივი ინტერესების განსახიერებასაც წარმოადგენს. საზოგადოება მორალურად ვალდებულია ოჯახური ცხოვრების განვითარებას თვალყური ადევნოს და ისეთი მძლავრი იარაღით, როგორიც არის საზოგადოებრივი აზრი, საჭირო კორექცია გაუკეთოს თანმხლებ სოციალურ მოვლენებს, არ დაუშვას სოციალური გადახრები, რომლებსაც საბოლოო ანგარიშით მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლიათ.

ახალი ოჯახების შექმნა ახალგაზრდულ ასაკში ხდება. ახალგაზრდა ადამიანის პიროვნული მოქმედების თავისუფლება იძულებით ჩარეულს გამორიცხავს, მაგრამ რჩება ძლიერი და ანგარიშგასაწევი სოციალური ფაქტორი საზოგადოებრივი რჩევისა და კონტროლის სახით, რომელმაც საზოგადოებაში ობიექტურად სოციალური რეგულატორის მნიშვნელობა უნდა მოიპოვოს. საესებით აშკარაა ოჯახის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში საზოგადოებრივ-მორალური ფაქტორის მნიშვნელობა, რაც, ჩვენი აზრით, სათანადო ასახვას ითხოვს ძირითად კანონშიც.

ახალი კონსტიტუციის პროექტის 53-ე მუხლში მკაფიოდ არის ნაჩვენები, თუ როგორ ეხმარება ოჯახს სახელმწიფო სხვადასხვა გზით, როგორიც არის სამაშვრო დაწესებულებების ფართო ქსელის შექმნა — განვითარება, საყოფაცხოვრებო მომსახურების და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია და სრულყოფა, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარებისა და შეღავათების მიცემა, ბავშვის დაბადების გამო დახმარების გაწევა.

მართალია, ჩამოთვლილი ღონისძიებანი მატერიალურთან ერთად მორალურ დახმარებასაც გულისხმობენ, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველა ისინი ერთი მთავარი მნიშვნელობისა არიან, რაც ძირითადად ოჯახის მატერიალური საფუძვლების განმტკიცებას გულისხმობს. ამიტომ სასურველი იქნებოდა 53-ე მუხლს დამატებოდა წინადადება ოჯახის მორალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების განმტკიცებაზე საზოგადოებრივ-სახელმწიფო ზრუნვის შესახებაც. ამ აზრის შესაძლო რედაქცია ასე გვესახება: **„საბჭოთა საზოგადოება ყურადღებას აქცევს და ყოველმხრივ ზრუნავს ოჯახის სოციალური საფუძვლების განმტკიცებაზე“.**

ამ ნაწილის შეტანა კონსტიტუციაში ალბათ საფუძველი გახდება ქორწინებისა და ოჯახის საკანონმდებლო აქტებში კონკრეტული და საჭირო კორექტივების.

მ. გეგეშიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტულ-სოციალურ კვლევაძიებათა განყოფილების გამგე.

წინადადებები

ზოგიერთი შენიშვნა

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის დიდი მონაპოვარია, ერთსულოვნად იწონებს მთელი პროგრესული კაცობრობა. იგი შედგება იმ დიდი წარმატებებისა, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის თანმიერდროეტაპზე. ახალი კონსტიტუციის პროექტმა, რომელშიც წინა პლანზე წამოწეულია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისთვის ზრუნვა, გამოიწვია მოსახლეობის ფართო მასების დაინტერესება და აქტიური მონაწილეობა მის განხილვაში. პროექტთან დაკავშირებით გამოთქვამთ რამდენიმე მოსაზრებას.

მე-18 მუხლში ლაპარაკია სახელმწიფოს ზრუნვაზე მიწისა და მისი წიაღის, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისათვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამრავლებისა და გაუმჯობესებისათვის. რამდენადაც საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისტემის სამართლის კოდექსებით ბუნების სიმდიდრეთა ხელყოფა ითვლება დანაშაულად, მიზანშეწონილი იქნება კონსტიტუციაში აღინიშნოს, რომ **„პირები, რომლებიც უნებართვოდ ისარგებლებენ ბუნების სიმდიდრით, დაისჯებიან კანონით“.**

რამდენადაც სსრ კავშირი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად არის შექმნილი, ეჭვიჭრობ, აჯობებს კონსტიტუციის 75-ე მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს ასე: **„მოკავშირე რესპუბლიკა არის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ნებაყოფლობით გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად“.**

პროექტის 155-ე მუხლით „სსრ კავშირში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე“. ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, თუ „მოქალაქეთა თანასწორობის“ მაგივრად ჩაიწერება „საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობა“, ვინაიდან სსრ კავშირში კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორია საზოგადოების ყველა წევრი-მოქალაქე იქნება ის, თუ მოქალაქეობის არმქონე პირი.

157-ე მუხლი აღნიშნავს, რომ „ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება“. სიხლნის სამართლის კანონში ტერმინი „ბრალდებული“ პასუხისგებაში მიეცემული პირის მიმართ გამოიყენება მხოლოდ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, სასამართლო პროცესზე კი მას ჰქვია სამართალში მიცემული, რომელსაც ასევე აქვს დაცვის უფლება. ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ ამ მუხლს ჩამოვაყალიბებთ ასე: **„სიხლნის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება“.**

ი. ტყეშელაშვილი,
დანაშაულის მიზეზების შემსწავლელი საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტი.

ცილისმწამებელს — სასჯელი

დიდად მოსაწონია, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი კრიტიკას, როგორც ჩვენი ცხოვრების წინსვლის საფუძველთა სსრ კავშირში. მაგრამ ამ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი ცილისმწამებლობაზე, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია 49-ე მუხლში სიტყვა: „გააკრიტიკოს“ შეიცვალოს სიტყვით „ამხილოს“, ამასთან სათანადო ადგილს ჩამატოს ცილისმწამებლობისათვის სასჯელი, და ეს მუხლი ასე ჩამოყალიბდეს: **სსრ კავშირის ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ. ამხილოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. თანამდებობის პირნი მოვალენი არიან კანონით დადგენილ ვადაში განიხილონ მოქალაქეთა წინადადებანი და განცხადებანი. გასცენ მათ პასუხი და მიიღონ საჭირო ზომები.**

კრიტიკისათვის დევნა და ცილისმწამებლობა კანონით ისჯება“.

პ. ასანიძე,
ჭიათურის სახალხო განათლების განყოფილების სასყოლო ინსპექტორი.

ისევ ანონიმური წერილების შესახებ

გაზეთ „კომუნისტის“ 20 ივლისის ნომერში დაიბეჭდა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მთავარი ბუღალტრის ნ. არახამიას შენიშვნა, რომ პროექტის 49-ე მუხლს დაემატოს ფრაზა: „ანონიმური წერილები არ განიხილება და მათ არც რაიმე რეაგირება მიეცემა“. ამავე მოსაზრებას იზიარებს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ვარციხის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. კობახიძეც, რაც „კომუნისტის“ 18 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა.

სავსებით სამართლიანია მოთხოვნა, რომ საჩივარი ხელმოწერილი იყოს, რითაც იზრდება ავტორის პასუხისმგებლობა და შემმოწმებელს ეხმარება მისი რეალობის დადგენაში, მაგრამ ზოგჯერ ხელმოწერელი, ეარეთწოდებული ანონიმური წერილებიც შეიცავს სიმართლის მარცვალს და აუცილებელია ღონისძიება. რასაკვირველია, ხელმოწერელი განცხადების ან საჩივრის სისწორისათვის მისმა ავტორმა პასუხი უნდა აგოს მოქმედი კანონმდებლობით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 196-ე მუხლით არის გათვალისწინებული. ცილისმწამებელი მკაცრად სათანადოდ ისჯება.

ამგვარად, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნება, რომ საერთოდ არ შეიმოწმდეს ხელმოუწერელი, ანონიმური წერილი და მასზე რეაგირება არ მოხდეს.

უახლოეს ამბავზე მოგახსენებთ: ამ რამდენიმე დღის წინ მივიღეთ ხელმოუწერელი წერილი, რომ სოფელ ტიბაანში მცხოვრებმა გურამ გურაშვილმა დიდი რაოდენობით იყიდა ხორბალი, რაც მას სასპეკულაციოდ უნდა ჰქონდეს გამიზნული. ხორბალი კი გამყიდველის მიერ საიდანღაც დატაცებული უნდა იყოსო. შემოწმებით დადგინდა, რომ გ. გურაშვილმა 3.975 კილოგრამი ხორბალი იყიდა სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობის ავტომანქანის მძღოლ ელგუჯა ნარინდოშვილისგან, რაც ამ უკანასკნელის მიერ აღნიშნული კოლმეურნეობის საველე საწყობიდან ყოფილა დატაცებული. ე. ნარინდოშვილი პასუხისგებაშია მიცემული, დატაცებული ხორბალი დაუბრუნდა კოლმეურნეობას.

ამდენად კონსტიტუციის პროექტის 49-ე მუხლზე ასეთი დამატება, რომ „ანონიმური წერილები არ განიხილება და მათ არც რაიმე რეაგირება არ მიეცემა“, ვფიქრობ საჭირო არ არის. უმჯობესია ასეთი ტექსტი: **„შრომელთა წერილები და საჩივრები უნდა იყოს რეალური და სინამდვილის ამსახველი, თუ იგი ცილისმწამებლურია, ავტორს ეკისრება პასუხისმგებლობა მომქმედი კანონმდებლობით“.**

ა. ვაიტაძე,
სიღნაღის რაიონის პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი.



გამოცემლობა „ხელოვნება“ — მოსწავლეებს

1 სექტემბერს — ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს სკოლებში მეცადინეობის დაწყებამდე აღიმართა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამი და შესრულდა ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ჰიმნი. ამავე დღეს რესპუბლიკის სკოლებში გამოაკრეს გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ გამოშვებული ახალი პლაკატები — **„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჰიმნი“.**

ცისფერ ფონზე ფრიალებენ ალისფერი დროშები. პლაკატის მარცხენა კუთხეში გამოსახულია ჩვენი სამშობლოს ოქროსფერი გერბი. ქვემოთ დაბეჭდილია ჰიმნის ტექსტი და ნოტები.

პლაკატები გამოცემულია რუსულ და ქართულ ენებზე. ჰიმნის მუსიკის ავტორია ა. ვ. ალექსანდროვი, ტექსტი დაწერეს ს. მიხალკოვმა და გ. ელრგისტანმა. ქართულ ენაზე ტექსტის ახალი რედაქცია ეკუთვნის ი. აბაშიძეს.

ამ ლამაზად გაფორმებული პლაკატის შემდგენელი და რედაქტორია მ. შევარდნაძე, მხატვარი — ო. გოროლევენი.

გამომცემლობა „ხელოვნებისა“ და ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის კოლექტივებმა მოკლე დროში გამოუშვეს ეს პლაკატი, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უზრუნველყო რესპუბლიკის სასკოლო ქსელში მთელი ტირაჟის დროული გაგზავნა. (საინფორმაციო).

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

დამაფიქრებელი აუჩქარებლობა

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ მეჩრობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი ა. გადაბაძე.

„კომუნისტის“ 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ კორესპონდენციაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში ზესტაფონის რაიონის პარტიული ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებებს შეეხებოდა, სხვა ფაქტებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს გორის სამშენებლო უბანი გულგრილად ეკიდება ზესტაფონის „საქართველოვაჭრობის“ მაცივრის, სავაჭრო ქსელის საწყობების რეკონსტრუქციის საქმეს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი ა. გადახბაძე გვატყობინებს, რომ სამმართველოს ადმინისტრაციამ გაზეთში მოყვანილი ფაქტების საფუძველზე შეისწავლა გორის სამშენებლო უბნის საქმიანობა და სუსტი მუშაობისათვის უბნის უფროსი ა. მალაზონია სამუშაოდან გაათავისუფლა.

რაც შეეხება „საქხორცთევზვაჭრობის“მაცივარს, იგი უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ და ნორმალურად მუშაობს. საწყობების რეკონსტრუქციის დასაჩქარებლად და ექსპლოატაციაში დროზე გადასაცემად სამმართველოს მიერ მიღებულია ზომები.

გულის კარნახით საქმის ბოლნით

რედაქციას უპასუხებს თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ზ. ზადიკაშვილი.

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, და ამაზე არაერთი გამოხმაურება დაიბეჭდა, წლეულს 17 მაისის ნომერში გამოქვეყნდა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროს პარტჯგუფორგის უ. ხარატიშვილის წერილი „გულის კარნახით, საქმის ცოდნით“. მასში ლაპარაკი იყო მშობლიური საწარმოს ტკივილებზე, არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში კომუნისტთა, განსაკუთრებით პარტიული ჯგუფების როლზე, დიდი ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების კონკრეტულ წინადადებებზე.

ამასთან დაკავშირებით ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ზ. ზადიკაშვილი „კომუნისტის“ რედაქციას ატყობინებს, რომ პარტჯგუფორგის წერილში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები სწორია. პარტიულმა კომიტეტმა თავის სხდომაზე განიხილა ეს წერილი და ცალკეულ მუშაკებს პარტიული სასჯელები დაედოთ.

მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახულია ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც მითითებულია შესრულების დრო. ამ დადგენილების შესრულების შემოწმება დაგეგმილია მიმდინარე წლის დეკემბრისათვის.

„ბოლოს ბიბლიოთეკა“



ტემპი, დრო ინურებაა!

წელს, დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ — 7 ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს ჯვარი-ხაიში-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლობა.

დარჩა ორ თვეზე ცოტა მეტი დრო.

ამ წერილში ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი მოგვითხრობს, როგორ მუშაობენ გზის მშენებლები ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ზეგის საკითხი ზემო სვანეთისათვის უხსოვარი დროიდან მწვავე პრობლემა იყო. ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ფ. მახარაძე წერდა: სვანეთისათვის გზის გაყვანა ყველა საქმეზე წინ დგას, უფლებისა იქ საფუძველიანად რაიმეს გაკეთება არ შეიძლებაო. მისივე ინიციატივით 1928 წელს ენგურის ხეობაში დაიწყო საავტომობილო გზის მშენებლობა, რომელიც 1937 წლის ნოემბერში დამთავრდა. მესტიაში პირველი ავტომანქანა ავიდა. იმ დროისათვის ეს უდიდესი მოვლენა იყო.

წლების განმავლობაში ეს გზა თანდათანობით გაფუჭდა, გაუვალი გახდა. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ფართო საავტომობილო გზის მშენებლობა. შედგა სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია და 1962 წელს მშენებლობა დაიწყო. იმ პერიოდში რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება მუშაობის სწორად წარმართვის საშუალებას არ იძლეოდა, გეგმები სისტემატურად იშლებოდა.

1974 წლის 13 ავგისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მესტიის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მთიან რაიონებში დიდი გარდაქმნების დაწყებას.

საკმარისია ითქვას, რომ 1975 წლის ნოემბერში მესტიელებმა იზიმეს საელეო სატელევიზიო სისტემისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის უმოკლეს დროში დამთავრება. აშენდა ახალი სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები, კულტურის კერები, საცხოვრებელი სახლები. 1974-1976 წლებში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ რაიონში 7,5 მილიონ მანეთს გადაჭარბა, რაც წინა ორი ათეული წლის მოცულობას აღემატება. მშენებარე 31 ობიექტიდან წლეულს 17 გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

მაღალმთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნა დიდად არის დამოკიდებული ყარგ და კეთილმოწყობილ საავტომობილო გზებზე. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ამ დღეებში გამართულ პარტიის მესტიის რაიკომის პლენუმზე დიდი ადგილი დაეთმო მესტია-ხაიში-ჯვარის საავტომობილო გზის მშენებლობას.

პლენუმს რაიონის პარტიულ და სამეურნეო აქტივთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს საავტომობილო გზებისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჯვარი-ხაიში-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლობის საკითხი რესპუბლიკის ხუთ უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა გეგმიდან დაიყენა და მიიღო გადაწყვეტილება წელსვე, იუბილეს დღეებში მთლიანად დამთავრდეს შავი საფარის დაგების სამუშაოები.

ამკამად ამ გზების მშენებლობაზე მუშაობს საავტომობილო გზების სამინისტროს ქუთაისის მეორე ტრესტის 4 სამმართველო და 1 უბანი, „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის 2 სამმართველო, რომლებმაც 5,5 მილიონ მანეთისაზე მეტი რკინსტრუქცია-გაფართოების, მიწა-კლდის, საყრდენი ბეტონის კედლის, რკინა-ბეტონის ხიდების მშენებლობის და შავი საფარის დაგების სამუშაოები უნდა შეასრულონ.

დარჩენილ ორ თვეზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე ასეთი კოლოსალური სამუშაოების დამთავრება მშენებელთა მამაცობას და დიდ გარჯას მოითხოვს.

ბოლო წლებში და განსაკუთრებით წლეულს რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტრომ (მინისტრი გ. რობიტაშვილი) და „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტმა (მმართველი ი. არობელიძე) მთელი პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი გზის მშენებლობის დაჩქარებას, თავი მოუყარეს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და შრომით რესურსებს, მშენებლებს შეუფერხებლად აწვდიან საჭირო ტექნიკას და საშენ მასალებს, ადგილზე ჩასვლით ოპერატიულად წყვეტენ ყველა საჭირბოროტო საკითხს.

როგორც პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. სარალიძემ თქვა: 7 თვეში მშენებლებმა 2 მილიონ 987 ათას მანეთზე მეტი სამუშაო შეასრულეს. მართალია, გეგმის შესრულებას ათასობით მანეთის სამუშაოები დააკლეს, მაგრამ ბევრი რამ გააკეთეს — ურთულეს პირობებში გაიყვანეს ახალი გზები, ძველი გზა შეაკეთეს, საყრდენი კედლები ამოიყვანეს, ააშენეს ხიდები, აივნები და სხვა ხელოვნურ-ტექნიკური ნაგებობანი.

მუშაობაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქუთაისის მეორე ტრესტის მეთორმეტე საგზაო-სამშენებლო სამმართველომ (უფროსი ვ. ცაგარეიშვილი), რომელმაც ზამთრის სუსხიან დღეებში დაბა მესტიაში ასფალტის ქარხანა დააშენებინა. მისი მოლიანი კომპლექსის აშენება-დამონტაჟება 235 ათასი მანეთი დაჯდა. ქარხანა ავტომატიზებულია, მისი მწარმოებლობა ცვლაში 170 ტონა ასფალტს აღწევს.

წლეულს სამმართველომ იკისრა მესტიიდან ლახაბულამდე 25 კილომეტრის ნაცვლად შავი საფენი 35 კილომეტრზე დააგოს. დათვალიერების დღისათვის დაგებული იყო 23 კილომეტრი საფარი. მშენებლები საყვედურს გამოთქვამენ მაზუთის შეფერხებით მოწოდების გამო. მუშაობის ტემპის გაორმაგებისა სექტემბერ-ოქტომბერში საჭიროა ყოველდღიურად 90 ასფალტზეიდი მუშაობდეს, დღეისათვის კი მოქმედებს 67. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან დასახმარებლად გამოგზავნილი მანქანების რეგულირება და კონტროლი სუსტია, ყველა მძღოლი კვალიფიკაციისადმი და სრული დატვირთვით არ მუშაობს.

ქუთაისის მეორე ტრესტის მთავარ ინჟინერთან ბ. ენუქიძესთან და ამავე ტრესტის მესტიის მეხუთე სამშენებელო უბნის უფროსთან ჯ. ქერქიძესთან ერთად დავათვალიერეთ გზის მშენებლობა მეტიიდან დიზამდე. ვესაუბრეთ ასფალტის სატკეპნის მემანქანეებს ვახტანგ ჩალაძეს, თამაზ ჯანიძეს, იაკობ ბურჯანაძეს, ასფალტის დამგები მანქანის მემანქანეს, ბორის მურუსიძეს, მუშებს მამაშვილს გიორგი და ავთანდილ ლანჩავებს, ალექსანდრე მუშკუდიანს, მძღოლს ავთანდილ ჯაფტერიას, სამუშაოთა მწარმოებელს ირაკლი ბენდელიანს, უფროს სამუშაოთა მწარმოებელს ბონდო მეგრელიშვილს და სხვებს, რომლებიც დილით ადრე გზის ამ მონაკვეთზე მუშაობდნენ, მათი განწყობილება ჩინებული იყო, გეპირდებიან გეგმა-დავალებების დროზე შესრულებას.

იქვე ახლოს მუშაობდნენ ბათუმის მეშვიდე საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს (უფროსი მ. ჯიხაშვილი) მშენებლები, რომლებიც გასულ თვეში გეგმების შესრულებაში ჩამორჩნენ. ახლა კი ენერგიითა და მონდომებით შრომობდნენ.

სამუშაოთა მწარმოებელი ჯემალ გოგიშვილი და მშენებელი ოსტატი შოთა თარგამაძე გვიხსნიან, რომ 10 კილომეტრი გზის სამუშაოთა შესასრულებლად მუშებმა რკინა-ბეტონის მილები 9 ადგილას ჩაღეს, 800 საორიენტაციო რკინა-ბეტონის ბოძიდან 500-მდე უკვე დააყენეს, შავი საფარის დაგების საფუძვლის მომზადების სამუშაოები 10 კილომეტრიდან უკვე 5 კილომეტრზე შეასრულეს. აქ განსაკუთრებით გამოუჩენია თავი გრიგორიოს მემანქანეს ბათუმელ გრიგორო დარციმელიას.

მესტიიდან 46-ე კილომეტრზე საყრდენი კედლების მშენებლობაზე მუშაობდნენ ხობის № 1 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი გ. ნოღლია) მუშები ზურაბ და თეზიკო გოგუები, სერგო ალანია, ძმები აკაკი და სერგო სიგუები, პეტრე ფაჩულია, მახუტი კაკაძე და გიორგი ჭირია. მათთან იყვნენ იმავე სამმართველოს მუშები მაკაო და ტრისტან გოშუანები, ვასო გერლიანი, ენვერ ქალდანი, ილამაზ მიღლიანი და ემუზა გერლიანი. ისინი ენგურის მარცხენა სანაპიროს მეტად რთულ მონაკვეთზე აშენებდნენ საყრდენ კედლებს. სამუშაოთა მწარმოებელმა ფრიდონ კვარაციხელიამ საყვედური გამოთქვა ცემენტის ნაკლებობის და სურსათის, განსაკუთრებით პურის დაგვიანებით მიწოდების გამო.

„საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს მერვე უბანი (უფროსი ბ. ბერელიძე) ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს, მაგრამ 7 თვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩა. უბნის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი იუზა ჩაკიტაძე გვიუბნება, რომ წლეულს 2,5 მილიონი მანეთზე მეტი მიწის, საყრდენი კედლების, ხიდებისა და მილების მშენებლობა-ჩაწყობის, 25,5 კილომეტრი სიგრძის გზის ვაკისის, პარაპეტების, კიუეტების სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. დაგალების შესასრულებლად მშენებლებს აკლიათ მანქანების საწვავი და ბიტუმი, რომელსაც ბათუმის ბიტუმის ქარხანა დროულად ვერ აწვდის.

გზების დათვალიერების დროს სხვა ნაკლოვანებებიც შევნიშნეთ, რომლის გამოსწორებისათვის ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი. მაგრამ რაც მთავარია ამ დიდ მშენებლობაზე უთუოდ იგრძნობა სურვილი, დაინტერესება. მოსწრაფება იმისადმი, რომ მშენებლებმა 7 ნოემბრისათვის ხაექსპლოატაციოდ გადასცენ ჯვარი-ხაიში-მესტიის საავტომობილო გზა.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

მესტიის **რაიონის გზების მშენებლობაზე საქართველოს თითქმის ყველა რაიონის საგზაო მშენებლები მონაწილეობენ. სურათზე: ხობის რაიონის მშენებელთა ერთი ჯგუფი: მარჯვნიდან — ს. ალანია, ს. სიგუა, პ. ფაჩულია, გ. ქერია, ზ. გოგუა, თ. გოგუა, მ. კაკაძე და ბრიგადირი ა. სიგუა.**

თ. ფუტკარაძის ფოტო.

უკეთ გამოვიყენოთ რკინიგზის ვაგონები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რკინიგზის ვაგონების უკეთ გამოყენებისათვის საწარმოთა (სატრანსპორტო საამქროთა) კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1977 წლის მეორე კვარტლის მასალები. შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი (დირექტორი ო. ნ. სულაძე), პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე შ. კ. ბარბაქაძე), რომელმაც ვაგონების დატვირთვის გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულა და 0,4 ნაათით შეამცირა ვაგონების საშუალო მოცდენა. ვაგონების სტატისტიკური დატვირთვა უზრუნველყოფილია ნორმის ფარგლებში, ამასთან დაცულია მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნები. ქარხნის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და გადაეცა პირველი ფულადი პრემია 1.000 მანეთის ოდენობით.

აღინიშნა ტყვარჩელის გამამდიდრებელი ფაბრიკის (დირექტორი გ. ფ. ეფრემოვი, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ა. გ. დელბა), ჭიათურის სამთამადნო კომბინატის (დირექტორი ვ. ნ. ოფაქიძე, პროფკომის თავმჯდომარე ნ. გ. გოგსაკაძე), თბილისის სახელ

საკავშირო
ტელეტაიპი
გაცდეოგვცეს

მსოფლიოს ამბები

ფაქტები • პრობლემები

ამერიკელ ტუმართა
შთაბეჭდილება

ხალხის ნიშნავს

მეგობრებთან ერთად

ბულგარელ მშრომელთა იუბილესწინა სოციალისტური შეჯიბრება

ბულგარელი ხალხი დიდი ადგურთოვანებით შეხვდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრის შესახებ. ჯერ კიდევ წლის დამდეგს სოფიის კოლაროვის რაიონის ნოვატორთა კლუბის წევრებმა, რომლებსაც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის გმირი, დამიტროვის პრემიის ლაურეატი სტოიან რადევი მეთაურობს, ვალდებულება იკისრეს 7 ნოემბრისათვის დამთავრონ თვიანთი წლიური დავალების შესრულება.

კოლაროველთა თაოსნობას პირველმა მხარი დაუჭირა პერნიკის — მეტალურგთა და მეშახტეთა ქალაქის 60 შრომითმა კოლექტივმა. ახლა ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობს მშრომელთა ოთხმილიონიანი არმია, რომლებიც ბულგარეთის პროფკავშირებში არიან გაერთიანებული. ყოველ ოლქში, ყოველ კოლექტივში შემოშვებულია გეგმები, რომლებშიც მთავარი ყურადღება ეთმობა შრომის ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. მარტო სოფიაში 60 ათასზე მეტმა მუშამ და სპეციალისტმა, 1.800 ბრიგადამ, 300 საამქროს გადაწყვეტა გადამეი შეასრულოს 1977 წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესაბამისად

ბულგარეთში ბევრი საწარმო შენდება და რეკონსტრუირდება საბჭოთა კავშირის დახმარებით. სწორედ იქ იშვა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სიმბოლური სახელწოდება აქვს — „მეგობრობა“. ბულგარელმა და საბჭოთა კოლეგებმა — კრემიკოვის მეტალურგიულ კომბინატში, კოზლოდუის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე, „მარიკა-ვოსტოკ-3“ თბოელექტროსადგურში და ბევრ სხვა ობიექტზე — ვალდებულება იკისრეს ადამდე შეასრულონ საწარმოო დავალებანი, შეისწავლონ და გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება...

მხოლოდ ჩინებული ხარისხის პროდუქციის გამოშვება და შემკვეთისათვის ჩაბარება იკისრა ბევრი საწარმოს კოლექტივმა, რომლებიც ჩარხებსა და მოწყობილობას ამზადებენ საბჭოთა კავშირთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების ფარგლებში.

ბულგარელი მშრომელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ (ლეონიდ) ოლქის საწარმოების, მოსკოვის „დინამოს“ ქარხნის, ლიხაჩოვის სახელობის ავტომექანიკურ მოწინავეთა თაოსნობისა და სხვა საბჭოთა წამოწყებების შესწავლასა და დანერგვას.

იუბილესწინა შეჯიბრება თვალნათლივ ადასტურებს ოქტომბრის იდეებისადმი ჩვენი ხალხის ერთგულებას, საბჭოთა ხალხთან ჩვენს სოლიდარობას. არნახული პატრიოტული ამოძრავლება, რომელსაც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა შორის წარმოშობს ეს დიადი თარიღი, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას დაეხმარება კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას მეშვიდე ხუთწლედის მთავარი ლოზუნგის — „ეფექტიანობა და ხარისხი, ხარისხი და ეფექტიანობა“ — რეალიზაციის გზაზე. ეს კი საბოლოო ანგარიშით ხელსაყრელი იქნება მთელი სოციალისტური თანამეგობრობისათვის.

პანკა ბაბუკოვა,
ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანი.

საშიში კურსი

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებ შიზორციელდება მასობრივი მოსპობის ახალი სახეობისა და სისტემების იარაღის შემუშავებისა და წარმოების ვრცელი პროგრამა. ამის პარალელურად ოფიციალური პირები ამუშავებენ სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ დოქტრინებსა და კონცეფციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ როგორმე „გადამარნილონ“ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სამხედრო პოტენციალის უპირეცდეტი ზრდა.

პროვოკაციები გრძელდება

ბონი, 1 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის პატარა ქალაქი ბონში ბონ-ბენგერინგაუზენი (ჰესენი) ყოფილი სს-ელების ახალი თავყრილობის ადგილად იქცა. ამჯერად გაიმართა სს-ელთა დივიზიის „მკვდარი თავის“ „ვეტერანთა შეხვედრა“. ამ დივიზიის ნაწილებმა მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი დანაშაული ჩაიდინეს საბჭოთა კავშირში, პოლონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. თავყრილობა მოეწყო პროვოკაციული მოთხოვნებით — მოუხსნან სს-ს ჯარებს ის ბრალდება, რომ იგი დანაშაულებრივი ორგანიზაციაა.

სს-ელი „ვეტერანების“ კიდევ ერთი შეკრებაა მოსალოდნელი ულმში (ბადენ-ვიურტემბერგი).

გმოზენ რასისტთა გეგმებს

სამხრეთ აფრიკის რეჟიმის ერთ-ერთი მეთაური, ფინანსთა მინისტრის პორვუდის განცხადება, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას „უფლება აქვს“ თავიანი ატომური პოტენციალი სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენოს, მსოფლიო საზოგადოებრიობას იმის კიდევ ერთ დამადასტურებელ საბუთად მიაჩნია, რომ პრეტორიის ხელისუფალნი სასწრაფოდ ახორციელებენ საკუთარი ატომური იარაღის წარმოების პროგრამას.

ლონდონი. გაზეთ „გარდიანის“ კორესპონდენტი იოჰანესბურგიდან იუწყება, რომ რასისტი მინისტრის გამონათქვამს მთლიანად უჭერენ მხარს პრეტორიის რეჟიმის სხვა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი. პორვუდის განცხადება, რომელიც მან აშკარად პრემიერ-მინისტრ ფორსტერის თანხმობით გააკეთა, არაორაზროვნად გამოხატავს და საბოლოოდ აყალბებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ.-დ. გენშერმა თავის პრეტორიელ დესპეს დაავალა მიაღწიონს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობისაგან „განმარტებას სამხრეთ აფრიკის ატომური მეცნიერების შესაძლებლობის თაობაზე საწინააღმდეგო გამონათქვამებთან დაკავშირებით“. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, ელჩმა ამავე დროს უნდა გამოთქვას ფედერალური მთავრობის „შეშფოთება“ შექმნილი მდგომარეობის გამო და კვლავ გადასცეს ჰ.-დ. გენშერის მოწოდება, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა შეიერთდეს ატომური იარაღის ხელშეკრულებას.

სტოკჰოლმი. შვეიცის პრემიერ-მინისტრმა ტ. თელენდერმა მკაცრად დაგმო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი, რომლებიც ატომური იარაღის გამოცდის მოწყობას აპირებენ. მან ვინაცადად: „დიდ შეშფოთებას იწვევს ცნობები იმის შესახებ, რომ სამხრეთ აფრიკის რეჟიმს ატომური მოწყობილობის აფეთქება გაუნურჩავს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ატომური გამოცდის მოწყობას შეიძლება ჰქონდეს საბიდისწერო შედეგები მოკავკაზეს. კი კიდევ უფრო კაცობლურს სამხრეთ აფრიკაში ვითარების ნორმალიზაციის პროგრამასს. ასეთი გამოცდის მოწყობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაზრდიდა მთელი მსოფლიოს მშვიდობისადმი საფრთხეს“.

ვაშინგტონი. შეეხო რა ამ დროულ და კონსტრუქციულ ლონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს დასლომატიური არხებით და პრესის მეშვეობით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ატომური გამოცდის თაოდან ამაკილებლად, თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჟურნალისტთა კითხვების პასუხად თქვა, რომ საბჭოთა კავშირის მოდგომა ამ პრობლემისადმი „კონსტრუქციულია და თანამშრომლობის სულისკვეთებას შეესაბამება“.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოქმედების ამ კონკრეტულ შემთხვევაში უწოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში თანამშრომლობის მაგალითი.

კარიზი. გაზეთი „ფიგარო“ ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პარიზის საელჩომ ტაციოდად იჩქარეს ჰორვუდის განცხადებების უარყოფა. გაზეთის აზრით, ეს აჩქარება მხოლოდ იმას მოწმობს, რომ სამხრეთ აფრიკის ხელისუფალნი შეაკრთნენ მინისტრის ამ მოულოდნელმა გულახდილობამ.

დასავლელი წამქეზებლები.
ი. ჟოჟიაშვილის ნახატი.

ყოველი მსრიდან

„საბჭოთა პრესა“ პრალაში

● **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გაიხსნა გამოფენა „საბჭოთა პრესა“, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. გამოფენის ექსპოზიციაში წარმოდგენილია საბჭოთა კავშირში გამოცემული ეროვნული ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემები, საბავშვო და საყმაწვილო ჟურნალები, მეცნიერ ულ-ტექნიკური პერიოდული ლიტერატურა.

ახალი გარიგებები

● **პარიზი.** ისრაელის მხედრიობამ გამოაცხადა, რომ ახალი გარიგებები დადო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საგრეწველო კომპლექსთან. აქ მიღებული ცნობების თანახმად, ამერიკის „ჰიუზის“ კომპანია აპირებს ისრაელს მისცეს რაკეტებით ალმურვილი 300 უახლესი „ტ-500“ საბრძოლო ვერტმფრინავი, რომლებიც მომარჯვებული არიან ტანკების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

არჩევნები ნიგერიაში

● **ლაგოსი.** ნიგერიაში გაიმართა კონსტიტუციური ასამბლეის არჩევნები. ქვეყნის ცხრამეტივე შტატისაგან 203 დეპუტატის მთავარი ამოცანა იქნება ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მიღება.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს 1979 წლის ოქტომბრამდე მმართველობის სამოქალაქო ფორმაზე გადასვლას.

საინტერესო აღმოჩენა

● **დელი.** კარნატაკის შტატის სუკრუდატის რაიონში ინდოელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მეფე აშოკის (მე-3 საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) კლდეზე გამოკვეთილი ედიქტები. წარწერები, რომლებიც აშოკის მართვა-გამგეობის პერიოდს განეკუთვნება. უკანასკნელად იხსენიებენ ორი წლის წინათ მადჰია-პრადეშის შტატის ქალაქ ბჰოპალის მახლობლად.

მოკლედ

ეს ეც შენი დემოკრატია!

ქალადობის... უფლება

ამას წინათ ჩვენ, ინგლისელებმა „დიდმტკიცეთ“ ჩვენი ერთგულება დემოკრატიისადმი — „კიდევერეს მემარჯვენე რასისტულ ორგანიზაციას „ეროვნულ ფრონტს“ ლონდონში დემონსტრაციის გამართვის უფლება დავრთეთ. ამ ორგანიზაციის წევრები არ მალავენ თავიანთ „იდეალებს“. ისინი აშკარად უწოდებენ თავიანთ თავს რასისტებს, ანტიკომუნისტებს, ანტისემიტებს და ანტისოციალისტებს. ამ ადამიანებმა მარშით გაიარეს ლიუიშემის უბანი, სადაც მეტწილად „ფერადკანიანები“ ცხოვრობენ.

ეს მარში სერ ოსვალდ მოსლის, ამ ინგლისელ ფაშისტთა ხელმძღვანელის, არამზადების ომამდელ გამოხდომებს მოგაგონებდათ. მაშინ ისინი ებრაელ უბნებში მიადგებოდნენ და ანტისემიტურ ლოზუნგებს გაიძახოდნენ. ახლა ისინი ლიუიშემის „ფერადკანიანი“ მოსახლეობის წინააღმდეგ გამოდიან.

ბევრი ინგლისელი გაოცებული იყო, მთავრობამ და პოლიციამ ამ ორმონსტრაციის მოწყობის ნება რომ დართეს. სხვათა შორის, ადგილობრივმა სამეფო სასამართლოს გადასცა და ხელისუფლების დემონსტრაციის აკრძალვა მოსთხოვა. გაზეთმა „ტაიმსმა“ კი ამის გამო დაბეჭდა მოწვნავი სტატია „მარშები არ უნდა აიკრძალოს“. მთავრობამ განაცხადა, რომ მარშს ვერ აკრძალავს, თუ ამას პოლიცია არ ურჩევს. პოლიცია თავის მხრივ ამტკიცებდა, სასამართლოს არ შეეძლია მარშის აკრძალვა, თუ ამის თაობაზე მთავრობის განკარგულება არ იქნებაო. ერთი სიტყვით, მარში ვამართა, ლიუიშემის მცხოვრებლებმა თავიანთ სახლებთან ბარიკადა აღმართეს და თავჯრებზე რკინის ცხაურები ჩამოუშვეს, ხოლო „ტაიმსი“ წერდა, „რასისტებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორიც სხვა ჯგუფებსო“.

ყოველივე ამის გამო მოხდა შეტაკება მარშის მონაწილეებსა და ანტირასისტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს შორის, რომლებიც ქუჩებში ამ სამარცხვინო მსვლელობის აღსაკვეთად გამოვიდნენ. სამი ათასი ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელი ცდილობდა მარშის მონაწილეთა და მის მონაწილეთა „გაშველებას“. პოლიციელთა ასეთი თავმოყრა კარგა ხანია არ მახსოვს. მაგრამ პოლიცია „ეროვნული ფრონტის“ მომხრეთა დაცვას ცდილობდა. დაპატიმრეს 109 კაცი. შეტაკებულ, ცხადია, მარშის მონწინააღმდეგენი. ასოთხი კაცი დაიჭრა და კვლავ მათ შორის მეტი წილი ანტირასისტი იყო. შეტაკება სამ საათს გაგრძელდა. რაღა თქმა უნდა, როგორც ყოველი „ხენსაციია“. ეკრანებიზეთ გადაიცემოდა. „ეროვნული ფრონტის“ ლიდერები ინგლისელ ფაშისტებმა ეროვნულ ფრონტის მოოსას ეფრიალებდნენ, მათ ჰკონინათ, რომ ეს მათი დროშაა.

მარში მარტო მოსლის არამზადების დემონსტრაციას არ ჰგავდა. იგი ჰიტლერული გერმანიის ნაციისტთა და იტალიელი ფაშისტების შავხალათიანთა მარშებსაც მოგაგონებდათ. ყველაფერი ზუსტად ისევე ხდებოდა...

ეს შვიბნელი დღე იყო ინგლისის ომისშემდგომ ისტორიაში.

ბიან, ჩვენი „დემოკრატიული“ სისტემა მთელი თავისი „მშვენიერებით“ წარმოგიდგა.

ჯეიმს ოლდრიჯი.
ინგლისელი მწერალი.

ს. კიპრიანუ—კვიპროსის ახალი პრეზიდენტი

ნიკოზია, (საკდესი). სიროს კიპრიანუ კვიპროსის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი გახდა და დაიკავა განსვენებული არქიეპისკოპოს მაკარიოსის ადგილი, რომელიც 3 აგვისტოს გარდაიცვალა გულის შეტევით.

რესპუბლიკის პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების წინადადებით ს. კიპრიანუ ერთიან კანდიდატად დაასახელეს პრეზიდენტის პოსტზე კვიპროსის ბერძენთა თემის ყველა პარტიისაგან. ამ წინადადებას მხარი დაუჭერეს ხალხთა თვითო მასებმა. ამის გამო, რომ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე არ ყოფილან დასახელებული სხვა კანდიდატები, კონსტიტუციის შესაბამისად ს. კიპრიანუ არჩევნების გარეშე გამოცხადა მარშის მონაწილეთა და მის მონაწილეთა „გაშველებას“. პოლიციელთა ასეთი თავმოყრა კარგა ხანია არ მახსოვს. მაგრამ პოლიცია „ეროვნული ფრონტის“ მომხრეთა დაცვას ცდილობდა. დაპატიმრეს 109 კაცი. შეტაკებულ, ცხადია, მარშის მონწინააღმდეგენი. ასოთხი კაცი დაიჭრა და კვლავ მათ შორის მეტი წილი ანტირასისტი იყო. შეტაკება სამ საათს გაგრძელდა. რაღა თქმა უნდა, როგორც ყოველი „ხენსაციია“. ეკრანებიზეთ გადაიცემოდა. „ეროვნული ფრონტის“ ლიდერები ინგლისელ ფაშისტებმა ეროვნულ ფრონტის მოოსას ეფრიალებდნენ, მათ ჰკონინათ, რომ ეს მათი დროშაა.

მარში მარტო მოსლის არამზადების დემონსტრაციას არ ჰგავდა. იგი ჰიტლერული გერმანიის ნაციისტთა და იტალიელი ფაშისტების შავხალათიანთა მარშებსაც მოგაგონებდათ. ყველაფერი ზუსტად ისევე ხდებოდა...

ეს შვიბნელი დღე იყო ინგლისის ომისშემდგომ ისტორიაში.

ბიან, ჩვენი „დემოკრატიული“ სისტემა მთელი თავისი „მშვენიერებით“ წარმოგიდგა.

ჯეიმს ოლდრიჯი.
ინგლისელი მწერალი.

კარიკატურისტის კომენტარი

როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ წერს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ატომური იარაღის წარმოებისათვის „ტექნიკური პირობები“ შეიქმნა უწინარეს ყოვლისა იმ დახმარების წყალობით, რომელსაც მას უწევენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

დასავლელი წამქეზებლები.
ი. ჟოჟიაშვილის ნახატი.

ს. კიპრიანუ—კვიპროსის ახალი პრეზიდენტი

ნიკოზია, (საკდესი). სიროს კიპრიანუ კვიპროსის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი გახდა და დაიკავა განსვენებული არქიეპისკოპოს მაკარიოსის ადგილი, რომელიც 3 აგვისტოს გარდაიცვალა გულის შეტევით.

რესპუბლიკის პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების წინადადებით ს. კიპრიანუ ერთიან კანდიდატად დაასახელეს პრეზიდენტის პოსტზე კვიპროსის ბერძენთა თემის ყველა პარტიისაგან. ამ წინადადებას მხარი დაუჭერეს ხალხთა თვითო მასებმა. ამის გამო, რომ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე არ ყოფილან დასახელებული სხვა კანდიდატები, კონსტიტუციის შესაბამისად ს. კიპრიანუ არჩევნების გარეშე გამოცხადა მარშის მონაწილეთა და მის მონაწილეთა „გაშველებას“. პოლიციელთა ასეთი თავმოყრა კარგა ხანია არ მახსოვს. მაგრამ პოლიცია „ეროვნული ფრონტის“ მომხრეთა დაცვას ცდილობდა. დაპატიმრეს 109 კაცი. შეტაკებულ, ცხადია, მარშის მონწინააღმდეგენი. ასოთხი კაცი დაიჭრა და კვლავ მათ შორის მეტი წილი ანტირასისტი იყო. შეტაკება სამ საათს გაგრძელდა. რაღა თქმა უნდა, როგორც ყოველი „ხენსაციია“. ეკრანებიზეთ გადაიცემოდა. „ეროვნული ფრონტის“ ლიდერები ინგლისელ ფაშისტებმა ეროვნულ ფრონტის მოოსას ეფრიალებდნენ, მათ ჰკონინათ, რომ ეს მათი დროშაა.

მარში მარტო მოსლის არამზადების დემონსტრაციას არ ჰგავდა. იგი ჰიტლერული გერმანიის ნაციისტთა და იტალიელი ფაშისტების შავხალათიანთა მარშებსაც მოგაგონებდათ. ყველაფერი ზუსტად ისევე ხდებოდა...

ეს შვიბნელი დღე იყო ინგლისის ომისშემდგომ ისტორიაში.

ბიან, ჩვენი „დემოკრატიული“ სისტემა მთელი თავისი „მშვენიერებით“ წარმოგიდგა.

ჯეიმს ოლდრიჯი.
ინგლისელი მწერალი.

ოყვარულთა და პროფესიული

ოყვარულთა და პროფესიული მხატვრული კოლექტივების რეპერტუარში დიდი ადგილი ეთმობა ხალხურ სიმღერებს, ცეკვებს, მელოდიებს. ათობით ასეთი კოლექტივი კონცერტებს მართავს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში.

სურათზე: ხალხური ცეკვა ქალაქ ხოშიმინის თეატრის სცენაზე.

საკდესის ფოტო.

ვიეტნამი:

ბრძოლითა და შრომით

2 სექტემბერი ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის დღეა

1945 წლის ოქტომბერიდან

1945 წლის ოქტომბერს ჰანოიში გამართულ ეროვნულ მიტინგზე ხო ში მინმა გამოაცხადა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელმაც მთელ მსოფლიოს აუწყა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. დაიბადა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. 1945 წლის აგვისტოს რევოლუციამ, რომელმაც გამარჯვებით დაგვირგვინა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის თითქმის საუკუნოვანი ბრძოლა, გამამთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში შევიდა როგორც მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხის მასების რევოლუციური შემოქმედების ერთ-ერთი საუცხო ნიმუში. ვიეტნამელმა კომუნისტებმა უნარიანად გამოიყენეს ხელსაყრელი ვითარება, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების შედეგად შეიქმნა.

მაგრამ გამარჯვებულ ვიეტნამელ ხალხს არ შეეძლო თავის ქვეყანაში მშვიდობიანი მშენებლობის დაწყება. რესპუბლიკის არსებობის პირველი დღეებიდანვე იგი იძულებული გახდა იარაღით ხელში. აღმდგარიყო საერთაშორისო იმპერიალიზმის ხელყოფისაგან თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად. უცხოელმა აგრესორებმა შეძლეს ქვეყნის გაფილვა, სამხრეთში მარიონეტული რეჟიმის შექმნა და სამხრეთ ვიეტნამის განვითარების კაპიტალისტური გზით წარმართვა. ჩრდილოეთში კი რევოლუცია სულ უფრო ვითარდებოდა. მომავ სოციალისტური ქვეყნების ეანგარო დახმარებით ვიეტნამელმა კომუნისტებმა ჩრდილოეთ ვიეტნამი მიუდგომელ ციხესიმაგრედ აქციეს, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე უნაყოფოდ უტევდნენ მტრის ძალები. უკუგადებდა რა აგრესორების იერიშებს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა ყველაზე მძიმე წლებშიც ინარმატებით ასრულებდა სამხრეთ-ვიეტნამელი პატრიოტების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საიმედო ზურგის როლს.

მხოლოდ 30 წლის დაძაბული ბრძოლის შემდეგ ვიეტნამი კვლავ ერთიან სახელმწიფოდ იქცა. ამჟამად მთელი ქვეყანა სოციალისტური განვითარების გზას ადგას.

—სოციალიზმი, — თქვა ვიეტნამელ კომუნისტთა IV ყრილობაზე ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლე ზუანმა, — უახლოესი მიზანია, რომელსაც ვიეტნამის რევოლუციაა ისახავს და ამავე დროს ვიეტნამის საზოგადოების ეფოლუციის გარდუვალი ეტაპია, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პოჭაში ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონებს.

ორნახევარი წელიწადი, რაც მთელი ქვეყნის განთავისუფლების დროიდან გავიდა, აღსავსეა ღირსშესანიშნავი მოვლენებით. ერთიანი ვიეტნამის ეროვნული კრების პირველმა სესიამ, რომელიც 1976 წლის ზაფხულში გაიმართა, გამოხატა რა მრავალმილიონიანი ხალხის ნებასურვილი, გამოაცხადა ქვეყნის გაერთიანება და ერთიან სახელმწიფოს ახალი სახელი — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა უწოდა, რაც მის მიზნებსა და პერსპექტივებს განსაზღვრავს. ცოტა ხნის შემდეგ გამართულმა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის IV ყრილობამ მიიღო ქვეყნის განვითარების ეკონომიკური პროგრამა — მეორე ხუთწლიანი გეგმა.

ვიეტნამელი ხალხი, რომელმაც დიდი გმირობა გამოიჩინა განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ახლა მშვიდობიანი ადმშენებლობითი შრომის ფერხულშია ჩაბმული, წარმატებით ახორციელებს ომისშემდგომი პერიოდის უპირველეს ამოცანებს. ეს არის მოსახლეობის სურსათით, ტანსაცმლით, საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა. აღადგენენ მოშლილ ეკონომიკას. სიმენტელები ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ მთავარია ის, რომ ვიეტნამის საზოგადოების ცხოვრებაში ხდება პროგრესული გარდაქმნები.

ქვეყნის ჩრდილოეთში ყველგან დამკვიდრებულია სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა — საყოველთაო-სახალხო და კოლექტიური. ეროვნული შემოსავლის მეტი წილი ეკონომიკის სახელმწიფო სექტორზე მოდის. საფუძველი ჩაეყარა მძიმე ინდუსტრიის მნიშვნელოვან დარგებს: ენერგეტიკას, მანქანათმშენებლობას, ქვანახშირის, მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობას, სამშენებლო მასალების წარმოებას, გაფართოდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ქსელი.

სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც ასრულებენ პარტიის მითითებას მოსახლეობის აუცილებელი სურსათით უზრუნველყოფის შესახებ, ბევრი ადგილი ეკავა ბრიგადებს. ბევრ ადგილას ბრიგადებს ეწოდებოდა „ოქროს ბრიგადა“. ეს ბრიგადა ბრძოლა ეწოდა ბევრ ადგილას ბრიგადებს. ბევრ ადგილას ბრიგადებს. ბევრ ადგილას ბრიგადებს.

თავი ისახელეს

ბათუმის სახლთმშენებლობის კომბინატის კოლექტივმა საზეიმო გაცილება მოუწყო ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის სამშენებლო რაზმს, რომელშიც 50 ახალგაზრდა იყო გაერთიანებული.

ქუთაისელებმა შესანიშნავი შრომით ისახელეს თავი. მათ ერთი თვის განმავლობაში 85 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შეესრულებინათ, ფაქტიურად შეასრულეს 100 ათასი მანეთისა. სამშენებლო ობიექტებზე და საცხოვრებლებში, იქ, სადაც სტუდენტები იყვნენ, სიქმე ყველგან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

— ესი ათასი მანეთის სამუშაო, აი ჩვენი საუბილეო პატაკი სამშობლოსადმი, — გვითხრა სამშენებლო რაზმის უფროსმა გიორგი მაჩიტიძემ.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალი ხიდები მთაში

სასოფლო გზების და ხიდების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის ბოლო წლებში დიდ მუშაობას ეწევა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილება (გამგე ა. მარგიევი).

წარმატებით მიმდინარეობს ცხინვალთან ლენინგორის დამაკავშირებელი უმიკლესი გზის მშენებლობა. ახლახან დიდი ზეიმი იყო მეჯოდის ხეობაში. სოფელ ვრომთან, ანდორეთსა და მახისთან საექსპლოატაციოდ გადაეცა სამი ახალი რკინაბეტონის ხიდი.

ადრე ამ სოფლების მცხოვრებლებს, ცხინვალში რომ ჩამოსულიყვნენ, 10-15 კილომეტრი ფეხით უნდა გაევლოთ. ახლა კი შესაძლებლობა შეიქმნა ბიაყორში რეგულარულად იაროს ავტობუსმა.

ოლქის საგზაო განყოფილებისა და მშენებლთა ნაყოფიერი შრომის შედეგად კაპიტალური ხიდები საექსპლოატაციოდ ვადაზე ადრე გადასცეს ავრეთვე ლენინგორის რაიონში მდ. ლეხურაზე, სოფელ ცხილონსა და მონასტერთან, ჯეჯის რაიონში — მდინარე გობურაზე ს. ქარმანთან.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ტყუპები სკოლაში ფავიდნენ

პირველი სექტემბერი ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია. მის შესახვედრად ყველა განსაკუთრებით ემზადება, მაგრამ სულ სხვა ყველაზე პატარების — მოსამზადებელი კლასების მოსწავლეთა სიხარული. პირველი გაკვეთილის დაწყებამდე გამართულ დღესასწაულზე მათ თვალი გაურბოდათ საკლასო ოთახების ფართო ფანჯრებისაკენ, ალბათ, ფიქრობდნენ, ნეტა რომელ კლასში ვისწავლით, როგორია დაფა, ვინ დაჯდება ჩვენ გვერდითო... გუშინ მათ შორის იყვნენ ტყუპი დებიც — ლელა, ლალი და ბელა... დაიწყო დიდი გზა ცოდნის მწვერვალებისაკენ.

ზესტაფონში, მოსკოვის ქუჩაზე ერთი სახლია. ამ სახლში ცხოვრობენ მერი და გიზო ჩინჩალაძეები. მათ სამი ტყუპის ცალი გოგონა მყავთ. ამ სურათზე სწორედ ისინი არიან აღბეჭდილი — ლელა, ლალი, და ბელა გაცისკროვნებული სახეებით, ხელჩამდგარი თვალებით სკოლისაკენ რომ მიიჩქარიან.

„გზა დაგელოცოთ!

ა. მაპპპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა),

„საპოვნელას“ შემდეგ...

თერჯოლა. (საკ. კორ.). კიდევ ერთი დიდი სიხარული მიაღწია აქაურ ბავშვებს მშენებლებმა. პიონერული ქალაქის „საპოვნელას“ შემდეგ ამ დღეებში ვადამდე ადრე ჩამოხსნეს ხარაჩოები დაბა თერჯოლის მე-2 საშუალო სკოლას.

ახალი სამსართულიანი სასკოლო შენობის კორპუსები ააგო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 სამშენებლო ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამმართველოს უბანმა, რომელსაც ვ. ფერაძე ხელმძღვანელობს.

მკვიდრად და ლამაზად ნაგებ სასკოლო შენობას აქვს ნათელი საკლასო ოთახები, კაბინეტები, სპორტული დარბაზი, საცალფეხო, სხვა დამხმარე სათავსები.

მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა სიხარულით დასასუფთავეს ოთახები, ფანჯრები, მოეხმაურენ დირექციას ახალი ინვენტარის დალაგებაში და მშენებლებს — ეზოს კეთილმოწყობაში.

სტუმრად — ბულგარელი სტუდენტები

ცხინვალი. (საკ. კორ.). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. კირჯალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს შრომითი სემესტრი ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძეში, ეწვივნენ სამხრეთ ოსეთს. ისინი იყვნენ საკავშირო კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბანაკ „ჯავაში“. აქ შეხვდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ვოლგოგრადის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო.

ბულგარელი სტუდენტები გაეცნენ ქ. ცხინვალს, ავტონომიური ოლქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, შემდეგ ეწვივნენ ქ. გორს, დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი. სტუმრებმა თავიანთი ექსკურსია მიიყვანეს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს. ისინი ეწვივნენ ავრეთვე თბილისსა და ერევანს, დათვალიერეს საბჭოთა და შრომითი დიდების ადგილები.

წიგნის თარო

„ბანათლებამ“ ახლახან გამოსცა საერთაშორისო დიდოსტატის **ე. გუფელდისა** და ჟურნალისტ **ა. ერემიანის** წიგნი **„ყველაფერი ჯერ წინაა“** (რედაქტორი ი. ლოლაძე, ხატვარი ვ. ხოდია).

წიგნი ეძღვნება მაია ჩიბურდანიძეს, რომელმაც თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 15 წლის ასაკში გახდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი.

„საბჭოთა ავარამ“ გამოსცა **„ანდაზებისა და აფორიზმების“** კრებული, რომელშიც ასახულია სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის სიბრძნე. მასალა ქართულ და რუსულ ენებზე არსებული წყაროებიდან, ორიგინალური და თარგმანილი ლიტერატურიდან ამოკრებილია **ალ. ჩავლეიშვილ ი**ს მეერ (რედაქტორი — ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვარი ჯ. მიქელაძე).

მეცნიერულ-პოპულარული სერიით გამომცემლობა **„მეცნიერებამ“** რუსულ ენაზე გამოსცა **ა. მენაბდის** ნაშრომი **„პროტექციონიზმი და მასთან ბრძოლა“** (პასუხისმგებელი რედაქტორი — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გ. ქვანია).

ნაშრომში ახსნილია პროტექციონიზმის არსი, მისი სახოგადოებრივი საშიშროება, ნაჩვენებია მასთან ბრძოლის გზები და მეთოდები.

„საბჭოთა მედიცინა“ № 4

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჟურნალის **„საბჭოთა მედიცინის“** მორიგი, მეოთხე ნომერი.

ქვეყრიკ მოზდ, მიზეზი?

რეგგი

სასწაულით გადარჩენ

თბილისის მექანიზაციისა და მელიორაციის სპეციალიზებული გაერთიანების ტრესტში ტრაქტორისტად მუშაობს ვასილ არიძინი. იგი სამუშაოების შესასრულებლად მიველინებული იყო საგაოჯოს რაიონში. მას მახლობლებს ნახვა მოუწდა და ტრაქტორით(!) მშობლიური სოფლისკენ — სოფელ ულიანოვკისაკენ გასწია. ტრაქტორი სახლის წინ გზაზე დაეაყენა, თვითონ კი მეზობლები მოიხახულა.

კვირადღე იყო და ულიანოვკაში ნათესავებთან თბილისიდან სტუმრად იყვნენ ჩასული კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი ალექსი შატუხინი და მისი ძმა, რომლებიც მთვრალები იყვნენ. მთვრალმა ძმებმა, უპატრონოდ მიტოვებული ტრაქტორი რომ დაინახეს, არც აცოეს, არც აცხელეს, მის საკენ მიეუხდნენ. აღმა-დაღმა ჭირითი გაძართეს. შატუხინებმა ბადიაურში ამოჰყვეს თავი და რკინიგზის გადასასვლელზე, ტრაქტორი მატარებელს დაეჯახეს. მანქანა დაიმტვრა, ძმები სასწაულით გადარჩნენ და დაშავებულნი საავადმყოფოში მოათავსეს.

თვითნებურად წაყვანილი და უმეთვალყურეოდ მიტოვებული ტრაქტორი კინაღამ უბედურების მიზეზი გახდა.

ო. ფარქოსაძე,
მილიციის მაიორი.

გაჩიტალღნებულ არეინაზე

თბილისის სახელმწიფო ცირკში 2 სექტემბერს ახალი სეზონი იწყება. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა ცირკის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **ივანე ტუსკაძეს** და ჩაიწერა მისი ნაამბობი, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

— ვიჭაკობა, სილამაზე, ძალა და გამბედაობა. გამრავლებული ყოველდღიურ ინტენსიურ ვარჯიშზე, — აი რა არის ცირკი. მის მაყურებელთა წლოვანების დიაპაზონი მართლაც განსაზღვრელია, რადგან ამ ხელოვნებას დიდი და პატარა თაყვანს სცემს. ვის შეხვდება მაყურებელი სეზონის გახსნისას? „შიმპანზეების ცირკი“ — ასე ეწოდება ატრაქციონს, რომლის ხელმძღვანელები არიან ვანდა და ვალენტინ ივანოვები. ივანოვების ხელოვნებას იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირის მაყურებლები. ისინი იყვნენ იაპონიაში, ავსტრალიაში, ბულგარეთში, ფინეთსა და სხვა ქვეყნებში. ალექსანდროვი-სერგი ძველი საცირკო დინასტიის ერთ-ერთი ცნობილი გვარია. ამჟამად თბილისის მანეჟზე გამოვლენ ჟონგლიორები, რომლებსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა ცირკის ვეტერანი ვიაჩესლავ ალექსანდროვ-სერგი.

საინტერესო ნომრით წარსდგებიან თბილისის მაყურებელთა წინაშე ნინა და ოლეგ პოპოვები („თამაში ლასოთი“), მრავალ მხიარულ წუთებს მიანიჭებენ მაყურებლებს ბუფონადური ქლოუნები ლიუდმილა და მარკ გოროდინსკენები.

საპაერო ტანმოვარჯიშეები ბამბიკზე ლიუდმილა გორბაჩოვა და ალექსანდრე შაურინკო ცნობილი მსახიობები არიან საბჭოთა ცირკში. ალექსანდრე ხომანკო მაყურებლის წინაშე წარსდგება ერთ-ერთ საინტერესო საცირკო ჟანრში — ეკვილიბრში. მათ გარდა პირველ პროგრამაში მაყურებელი გაეცნობა სიმონ ორლოვის ჟონგლიორთა ჯგუფს, გაწყრთნილ ძაღლებს (ხელმძღვანელი ირინა ივანოვა), ოლეგ რადჩენკოს ველოფიგურისტთა ჯგუფს, აკრობატებს ალექსანდრე სტეპანოვის ხელმძღვანელობით, კლარა ბისტროვა გამოდის ქალებისათვის უჩვეულო ნომრით — ანტიპოდით. ბალანსის ბრწყინვალე შეგრძნება, მათემატიკური სიზუსტე და შესრულების სიმსუბუქე ახასიათებს აკრობატთა ჯგუფს ვიოლ სოლოხინის ხელმძღვანელობით. მანეჟზე გამოვლენ ახალი საცირკო ნომრების ლაურეატები — მსახიობები ესკინები. თბილისის მაყურებლის წინაშე პირველად თავისი მხიარული რეპრიზებით წარსდგებიან ქლოუნები ოლეგ სავიცკი, ვლადიმერ პოზომარიოვი და სვეტლანა ვოლკოვი.

ტრადიციის მახედვით წელსაც მოეწყობა საშეფო წარმოდგენები ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეთერთმეტეულის, შრომის მოწინავეთათვის და სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. როგორც ვხედავთ, პირველი პროგრამა საინტერესოა და ბევრ სასიამოვნო წუთებს მიანიჭებს ძველი, მაგრამ მარად ახალგაზრდა საცირკო ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

ფელოსპორტი

კიდევ მრთი „ოქრო“

სან-პრესტბალეს (ვენესუელა) მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ დაამტკიცეს თავიანთი უძლეველობა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა საგზაგკეცილო გუნდურ რბოლაში — საბჭოთა სპორტსმენებმა ა ჩუკანოვმა (ვოროშილოვგრადი), ვ. კამინსკიმ (მინსკი), ა. პიკუუსმა (ტარტუ) და ვ. ჩაპლიგინმა (კურსკი). 100 კილომეტრი მათ დაფარეს 2 საათში, 10 წუთსა და 39 წამში. ფინიშთან მეორე მივიდა იტალიის (2:13,07), მესამე — პოლონეთის გუნდი (2:13,29).

მაგრამ ტრეკზე ჩვენმა ველოსიპედისტებმა საპრიზო ადგილები დათმეს. მეოთხე ოქროს მედალი დაიმსახურეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა, ამჯერად — გამოდეგნებით გუნდურ რბოლაში. ფინალში მათ სძლიეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყვარტეტი, რომელთანაც საბჭოთა გუნდმა წააგო ნახევარფინალური შეჯიბრება.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

დიდოსტატისა და არბიტრის აზრით

ამ დღეებში ცნობილი იუგოსლავი მიმბილეული ბელიცა შეხვდა რამდენიმე გამოჩენილ ექსპერტს და ესაუბრა ჭადრაკის აქტუალურ პრობლემებზე. აი რამდენიმე ნაწყვეტი ამ საუბრებიდან. ვფიქრობთ იგი ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი მკითხველებისათვის.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონ **სმისლოვთან** შეხვედრისას ლაპარაკი იყო პრეტენდენტთა მატჩებზე და სხვა უახლოეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

— თქვენ ბრწყინვალე შედეგს მიაღწიეთ ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირში. რას იტყვით ამ შეჯიბრების შესახებ?

— ეს გახლდათ, ძირითადად, ახალგაზრდა მოჭადრაკეების შეჯიბრება. ძალიან მოხარული ვარ, რომ ასეთ შედეგს მივაღწიე (სმისლოვი მესამე ადგილზე გამოვიდა ტალისა და რომანიშინის შემდეგ). საქმე ის არის, რომ ლენინგრადში ტაიმანოვს, ტალსა და ჩემს გარდა ახალგაზრდა დიდოსტატები თამამობდნენ. ვფიქრობ, რომ სპორტულ შედეგთან ერთად პარტიების ხარისხიც მაღალი იყო.

— რა მოუვიდა კარპოვს? მან ორი პარტია წააგო და ვერ შეძლო პირველი პრიზის მოპოვება.

— კარპოვის შედეგმა ლენინგრადში გვიჩვენა, რომ მსოფლიოს ჩემპიონიც ადამიანია, რომელსაც შეიძლება ზოგი წარუმატებლობაც ჰქონდეს. დასაწყისში მას მხედველობიდან გამორჩა ტაიმანოვის ერთი ტაქტიკური კომბინაცია, ბელიავსკისთან კი შემთხვევით დამარცხდა, როცა უკეთეს პოზიციაში დროს გადაიკლო. ასეთი რამ კარპოვს ადრე არასოდეს მოსვლია. შემდეგში კარპოვი უკვე ძალიან კარგად თამაშობდა.

— შეუძლია თუ არა ვინმეს კარპოვს მსოფლიოს ჩემპიონობა წართვას?

— ნორმალურ ვითარებაში ეს აღ მოხდება. კარპოვი მხოლოდ მაშინ დაკარგავს მსოფლიო ჩემპიონობას, თუ მატჩისათვის რიგიანად არ მოემზადება, თავის ჩვეულ ფორმაში არ იქნება.

— ხურს თუ არა ფიშერს დაუბრუნდეს ჭადრაკის ასპარეზს?

— ამის შესახებ ახლა ბევრს ლაპარაკობენ. გფიქრობ, რომ ფიშერი არასოდეს არ დაუბრუნდება ჭადრაკს. ისე კი მგონია, რომ ფიშერის დაბრუნებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჭადრაკისათვის.

შემდეგ ბელიცა ესაუბრა საერთაშორისო არბიტრსა და საერთაშორისო ოსტატ **გოლომბეკს** (ინგლისი), რომელიც ამას წინათ დამთავრებულ სპასკი-პორტიშის ნახევარფინალური მატჩის მთავარი მსაჯი იყო.

— როგორ ფიქრობთ, ვინ შეხვდება მსოფლიო პირველობის მატჩში კარპოვს?

— ვინც უნდა შეხვდეს, კარპოვს ვერ დაამარცხებს.

— რას იტყვით კარპოვზე, როგორც მსოფლიოს ჩემპიონზე?

— მსოფლიოს ჩემპიონი ყველა ტურნირში აღასტურებს, რომ ეგშამრიტად უძლეველია. ეშვიათია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი სისტემატურად მონაწილეობდეს შეჯიბრებებში და თანაც როგორ! კარპოვის ძალის დადასტურებაა მისი პარტიები ლას-პალმასში. იგი დიდებულად თამაშობს, ისევე, როგორც თავის დროზე ფიშერი. ძალზე საინტერესო იქნებოდა ფიშერისა და კარპოვის მატჩი.

— როგორ გგონიათ, გაიმარჯვებს ეს მატჩი?

— ვფიქრობ, რომ არა, რადგან არც ერთი მხარე არ მოისურვებს აიღოს ხელი თავის პირობებზე. თანაც ვფიქრობ, რომ შეიძლება ფიშერი ძალიან მალე დაუბრუნდეს საჭადრაკო ასპარეზს. იგი სისტემატურად სწავლობს ტურნირებში გათამაშებულ პარტიებს, მაგრამ არ ითამაშებს შეჯიბრებაში, რომელსაც საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია აწყობს.

— დიდოსტატი გლიგორიჩი ახლა ფიდეს პრეზიდენტობის კანდიდატი გახლავთ. რას იტყვით მისი არჩევის შესახებ.

— ვფიქრობ, იგი ძალიან კარგი პრეზიდენტი იქნებოდა. მაგრამ მე ვისურვებდი, რომ პრეზიდენტობასთან ერთად იგი კვლავ გამოვიდეს ხოლმე ტურნირებში.

გ. გამრეკელი.

პირველი ჯილდო — მგია ფერეჯელს

ბრაშოვში (რუმინეთი) დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

შესანიშნავად ითამაშა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა მზია ფერეჯელმ. 11 თამაშიდან 9,5 ქულით მან პირველი ადგილი დაიკავა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შარშან ფერეჯელი რუმინეთის ტრადიციულ ტურნირში მეორე იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონ ფოისტელის შემდეგ. ორადგილ ტურნირში მას ახლდა მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი მ. ჭავარიანი.

მეორე ადგილზე 8,5 ქულით გამოვიდა კანტორი, მესამეზე 7,5 ქულით — ილეი (ორივე — რუმინეთი).

ჭაბუკთა ტურნირში 11 თამაშიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიჭირა რუმინელ იონესკუს.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ტელევიზია

2 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები სვენის ოსტატებთან“, 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისკრის ზარები“, 17.00 — დოკუმენტური ფილმი „სახელმწიფო ერმიტაჟი“ (ფერადი), 18.00 — საუბრები საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტზე. მოსწავლეთათვის — „საბჭოთა ცხოვრების კანონი“, 18.20 — განცხადებები, 18.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შანასსკენილი ნადირობა“, 19.00 — „მეათე მუზა“ — ვიეტნამური პოეზიის ფურცლები, 19.30 — ვიეტნამი დღეს — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფილასამი მიძღვენილი გადაცემა (ფერადი, მოსკოვიდან), 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — ჩვენი ბიოგრაფია — 1967 წელი. (ფერადი, მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ჩიბურდანიძე-ამმოლოვსკაიას საჭადრაკო მატჩის მიმოხილვა, 22.45 — სატელევიზიო სპექტაკლი. „ნოველა სიყვარულზე“ — საქართველოს ტელევიზიის დადგმა (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — დოკუმენტური ფილმი „შთაგონება“ (ფერადი), 19.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.15 — განცხადებები, 19.20 — გადაცემა „ჯანი როდარის ზღაპრები“. (ფერადი), 19.45 — მხატვრული ფილმი „ოკეანე“.

ოდესა

3 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.38 — ჩვენი მთა-ბარის ამინდი, 07.30 — რადიოგაზეთი საქართველოს პიონერი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — ქართული ხალხური სიმღერები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მ. გლინკა — საორკესტრო ნაწყვეტები ოპერიდან „რუსლან და ლუდმილა“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — ოქტომბერი და მშვიდობა განუყოფელია, 12.15 — უკრავს მოსკოვის ფილარმონიის კამერული ორკესტრი, 13.15 — რ. ლაღიძე — კამერული ნაწარმოებები, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწვინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ა. ზაცეპინი — მუსიკა კინოფილმებიდან, 14.00 — ვ. ბოგუსლავსკაია „...და ხვალ“ რადიოდადგმა, 15.00 — თქვენთვის, ეს ტრადის მოყვარულებო, 17.15 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „მღერიან ბავშვები“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ბ. ტერენტიევი სიმღერები, 19.00 — მხიარულ ტალღაზე, 19.30 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 20.30 — „ჩვენი ეშვიათი ჩანაწერები“ — ქართული ესტრადა. ადრინდელი ჩანაწერები. 21.00 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში: თბილისის „დინამო“-ალმა-ათის „ჟაირათი“. შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან, 21.30 — ახალგაზრდობისათვის. რადიოკომპოზიცია „გამარჯობა, პირველკურსელო!“, 23.30 — ი. ბახი — სავიოლინო კონცერტი.

ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მუშაკი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, პარტიის ვეტერანი
მიხეილ ყარამანის ძე ლომიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბოლო წყლებზე

შარშან ჩვენს რესპუბლიკაში სახამართლო ორგანოებმა უკანონოდ განთავისუფლებულად ცნეს და სამუშაოზე აღადგინეს სამსახურიდან დათხოვნილთა 63 პროცენტი. ამ ადამიანებს განაცდური დღეების საზღაური სახელმწიფომ გადაუხადა. როგორც ჩვენი მკითხველებისათვის ცნობილია, ეს თვეტი რესპუბლიკაში ფართო მსჯელობის საგნად იქცა. მაგრამ ამ ფენომენებზე კი აქედან სათანადო დასკვნა საწარმო-დაწესებულებათა ამ ხელმძღვანელებმა, ვინც დაუდევრობისა თუ სამართლებრივი ნორმების არცოდნის გამო მუშაკი თვეების განმავლობაში საზოგადოებრივ შრომას მოსწყდა? სამწუხაროდ, რედაქციაში შემოსული განცხადებები და ხაჩივრები გვარწმუნებენ, რომ ამგვარი დარღვევები არც ახლაა იშვიათი.

ეს წერილიც რედაქციაში შემოსული სიგნალის კვალზე დაიწერა.

ეკითხველს არ სჭირდება იმის განმარტება, თუ რა მძიმე მორალური და მატერიალური ზარალს აყენებს პიროვნებას საზღაურო სახელმწიფომ გადაუხადა. ამით მას და მის ოჯახს. დროებით მაინც ესპობა შემოსავლის წყარო და რაც მთავარია, ადამიანი ეთიშება, ტოვებს კოლექტივს, მეგობრებსა და ამხანაგებს, რომელთა გვერდით წლობით ეცხოვრია და უმუშევნია, ვისაც ახლობელივით შესთვისებია და შესისხლხორცებია.

ამიტომ არის, რომ სამუშაოდან განთავისუფლება უკიდურეს ადმინისტრაციულ ღონისძიებად ითვლება და ვიდრე მას ძალართავდეს, ხელმძღვანელს დიდი სიფრთხილე და დაკვირვება ძართებს. ადმინისტრაცია ასე ძაკრად რომ სჯის მუშაკს, მოვალეა მისივე მონაწილეობით განხილოს წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტი და დაუსაბუთოს, დაარწმუნოს იგი თავის დანაშაულში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შეხვდეს ადამიანი სამსახურიდან დათხოვას სინანულის გრძნობით და მიიღოს იგი როგორც დამსახურებული სასჯელი.

როგორც ჩანს, სამრეწველო გაერთიანება „თბილპურის“ ხელმძღვანელობა ასეთი პასუხისმგებლობით და გულისხმიერებით არ ეკიდება ამ საკითხს, ზოგჯერ ადამიანს ბეღლაც ზერელედ და თვითნებურად წყვეტს.

1976 წლის 26 მაისს „თბილპურის“ გენერალური დირექტორის ო. სუთიაშვილის ბრძანებით თანამდებობიდან გათავისუფლეს გასაბერ ა. საპანაძე და გაერთიანების კიდევ ორი თანამშრომელი — ძ. ცხვედაძე და ვ. შაფათავა. ოთხივე და სდფუძველი, რისთვისაც ისინი სამუშაოდან დათხოვეს, საბუთიანი და დამაჯერებელი არ იყო. ამიტომ „დაზარალებულებმა“ მაშინვე გასაჩივრებებთან მიმართეს ჯერ რესპუბლიკური გაერთიანების „საქპურძრეკვის“ სამმართველოს, მერე კი პარტიის პირველი მაისისა და კალინინის რაიკომებს, საქართველოს სსრ კანონების ძრეკვლობის სამინისტროს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

თავიანთ საჩივრებში ისინი წერდნენ, რომ უსაფუძვლოდ არიან დასჯილნი და მოითხოვდნენ კანონიერების აღდგენას.

პარტიის პირველი მაისის რაიკომმა, აგრეთვე კალინინის რაიკომმა საფუძვლიანად შეამოწმეს ა. საპანაძის, ვ. შაფათავას და ძ. ცხვედაძის განცხადებები. უკანონოდ ჩათვალეს მათი სამსახურიდან დათხოვნა და სათანადო დასკვნები რეაბილიტაციისათვის გადაუგზავნეს როგორც „თბილპურის“.

„საქპურძრეკვის“ სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა შ. ლუხუტაშვილმა სამინისტროდან მიღებული ამ დასკვნის ადამოწმება თავის ოფიციალურად შეისწავლა მათი სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერება და დაასკვნა, რომ ისინი უკანონოდ არიან დათხოვნილი, რის გამოც „თბილპურის“ გენერალური დირექტორის ბრძანება გაუქმებულ უნდა იქნას შრომის კანონმდებლობისადმი შეუსაბამოდ.

საქართველოს სსრ კანონის მრეწველობის სამინისტროს კომისიის სპეციალიზებული ჯგუფი ამ საკითხს ადგილზე შეისწავლა და ადასტურა სამუშაოდან თქვენი დათხოვნის შრომის კანონმდებლობისადმი შეუსაბამობა.

ამ სიინსპექციის მიუხედავად გ. მიშველაძემ მაინც შეასრულა დავალება, გულმოდგინედ იმუშავა ერთ თვეზე მეტი და წარადგინა ბრძანების შეცვლის პროექტი „ყველა კანონის დაცვის ფარგლებში“. მათი განთავისუფლების პუნქტების შესანარჩუნებლად“.

ბოლოს 1975 წლის 12 ნოემბერს დაიწერა ბრძანება № 233, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „საქპურძრეკვის“ საწარმოო გაერთიანება „თბილპურის“ 1975 წლის 26 მაისის №347 ბრძანების 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტებში ჩამოყალიბებული ფორმულირების შეცვლისა და მათი შინაარსის

სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი?!

როცა ადამიანის ბედი წყდება

მოწერით სათანადო რეაგირებისათვის ხელქვეითობის წესით გადაეგზავნა საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქპურძრეკვს“, ხოლო მომჩივნებს ეცნობა, რომ სამინისტროს კომისიამ ადგილზე შეისწავლა საკითხი და დაადასტურა სამუშაოდან თქვენი დათხოვნის უსაფუძვლობა. „საქპურძრეკვის“ ხელმძღვანელობა ამ ფაქტს ეცნობა, რომ სამინისტროს კომისიამ ადგილზე შეისწავლა საკითხი და დაადასტურა სამუშაოდან თქვენი დათხოვნის შრომის კანონმდებლობისადმი შეუსაბამობა. ამ საკითხზე „საქპურძრეკვის“ სამმართველოს მაშინდელ უფროსს ეს უკანასკნელი ბრძანება აღრესატებს გადასცეს 1976 წლის პირველ დეკემბერს, როცა უკვე 6 თვეზე მეტი იყო გასული „თბილპურის“ დირექტორის იმ პირველი ბრძანების გამოცემიდან, ხოლო კანონში გარკვეული წესრიგი: არ შეიძლება მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა, თუ მის მიერ დაშვებული გადაცდომიდან გასულია 6 თვე.

მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი რომ დანიშნა, სხვა გარემოებებთან ერთად აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას მისი წარსული დამსახურება, ოჯახური და სოციალური მდგომარეობა. ამას მოითხოვს არა მხოლოდ მორალი და ჰუმანური გრძნობები, არამედ კანონიც.

ა. საპანაძის, მ. ცხვედაძის და ვ. შაფათავას საკითხის განხილვისას კი, ჩანს, მათს პირად საქმეებში არც ჩაუხედავთ, არ გითვალისწინეს, რომ სამივე კომუნისტია და სამივეს უმუშაკლო წარსული აქვს, ა. საპანაძე დიდი სამამულო ომის მონაწილეა, იგი თადარიგის ოფიცერია (პოდპოლკოვნიკი) და 28 წელი იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში ომის დროს და ომის შემდეგაც. სამამულო ომის მონაწილე და ომის ინვალიდია მ. ცხვედაძე, ვ. შაფათავა ახალგაზრდა სპეციალისტია, მუშად დაიწყო „თბილპურის“ სისტემაში მუშაობა, აქ მუშაობის პერიოდში მიიღეს სკკ რიგებში, აქ მიიღო უმაღლესი განათლება, ახლადშექმნილი ოჯახი აქვს.

ყოველივე ამას ყურადღება არ მიაქციეს და სამივენი სამუშაოდან დაითხოვეს.

და აი ერთ წელზე მეტია ჩვენ ან ისინი, მაგრამ სამართალი ვერ უპოვნიათ. არა და ყველა იმას ეუბნება, უკანონოდ ხარო სამუშაოდან განთავისუფლებულიო. თვით გაერთიანების და ტრესტის ხელმძღვანელებიც აღარ ერევიან ამას, მაგრამ სამუშაოზე მაინც ვერ აღგადგენთო, საქმისათვის ასი საჭირო, სხვები ჭკუას ისწავლიანო.

ჩვენ არ განვიზრახავს მართლმსაჯულების კერეხი ავიღოთ ხელში და ყოლისგამკითხველი მსაჯულის როლი ვიკისროთ, მაგრამ ნომ აშკარაა, რომ ადამიანის ბედი ასე არ უნდა წყდებოდეს.

გაერთიანება „თბილპურის“ ხელმძღვანელობას კი, როგორც ჩანს, ეს გარემოება ასე რიგად არ ადარდებს. სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლება აქ ერთიანელი შემთხვევა არ არის. **მაგრამ გასულ წელს პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ განაცდურის ანაზღაურებით სამუშაოზე აღადგინა უკანონოდ დათხოვნილი მოქალაქენი — ქათამაძე, მეფარიშვილი, ნადირაშვილი, შუბლაძე, ლებანიძე, ხუნდაძე, ბაკურაძე, გოგოლაძე**

დღეს, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, როცა ახალი კონსტიტუციის პროექტით კიდევ უფრო აზრდება და ღრმავდება საბჭოთა მოქალაქის ფულები, შეუწყნარებელია ასე ზერელეო და უპასუხისმგებლოდ ვეკიდებოდეთ ადამიანის ბედის გადაწყვეტას.

მ. მიქაძე.